# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 27 დეკემბერი 2007 №300 (3223) ფასი 50 თეთრი



## ტოპმიოლერი შავ ზღვაზე: ჩემი ნაპირი საქართველოა

## ასაკობრივი ფიქრები

### რა ნიშნებს იმსახურებენ უცხოელი მასწავლებლები







## ოჯახი ქარავანია

### ვიქტორია რავა და ამირან ჯიოშვილი ახალ გუნდს ქმნიან





ბაჩო სვანიძის ინტერვიუ იხილეთ ხვალინდელ სარბიელში

# ცხოვრების ნაწილი

## გიორგი ჩიხრაძე: 2008 წელი წარმატებისა ყოფილიყოს!

**საინტერესო ამბავი: „ამერის“ მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე ახალ წელს ისეთ ქვეყანაშიც შეხვედრია, სადაც ახალი წელი სულ სხვა დროს დგება. მასთან საუბარში საახალწლო რიტუალებსაც შევეხეთ, თუმცა, ცხადია, ჩვენი ინტერვიუს მთავარი თემა მაინც ფეხბურთი იყო...**



ბაჩანა კაპანაძის ფოტო

— ჩემპიონატის პირველი ნახევარი თქვენთვის რითი იყო გამორჩეული?

— იმით, რომ ჩემპიონატის პირველ წრეში იმედები გაგვიცრუვდა. მიუხედავად იმისა, რომ „ამერმა“ ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი პერიოდი მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოიყენა და უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზეც ხარისხიანად ითამაშა, ჩემპიონატის პირველ წრეში იმ შედეგს ვერ მივაღწიეთ, რაც დაგეგმილი გვქონდა. აი, სწორედ ამიტომ ვთქვი, რომ იმედი გაგვიცრუვდა.

— და რატომ მოხდა ასე?

— შემთხვევითობას ამას ვერ დავაბრალებთ, ყველაფერი რაღაც ლოგიკას ემორჩილება. „ბელხატუვთან“ კარგი მატჩების შემდეგ, ეტყობა, გუნდმა კონცენტრაცია დაკარგა და ჩემპიონატს ისეთი მობილიზებული ველარ შეხვდა, როგორიც საჭირო იყო. „ბელხატუვის“ მერე, რამდენიმე დღეში „ლოკომოტივს“ შევხვდით, წავაგეთ და ისე გამოვიდა, რომ კენწეროდან პირდაპირ ძირს დავენარცხეთ. ეს ფსიქოლოგიურად ძნელი გადასატანი გამოდგა. გარკვეული დრო ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად დაგვჭირდა, ეგებ საკმარისზე ცოტა მეტიც. ხოლო, როცა ჩვენი ძალების რწმენა დაგვიბრუნდა და ისე ავთამაშდით, როგორც ადრე, მაშინ უკვე „ზესტაფონსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ შევხვდით. ძალიან რთული მატჩები იყო, მაგრამ ჩვენ კარგად ვითამაშეთ. მართალია, ორივე თამაში წავაგეთ, თუმცა ასეთი შედეგი სხვა ფაქტორებმაც განაპირობა.

— მოკლედ, პირველი წრის შემდეგ უკმაყოფილო ხართ...

— ცხადია, ასეთი შედეგით კმაყოფილი ვერ ვიქნები, თუმცა პოზიტიური მომენტებიც იყო: მაგალითად, ის, რომ თასის გათამაშებაში შემდეგ ეტაპზე გავედით და კიდევ „ფოლკსვაგენის“ თასი ზედიზედ მეორედ მოვიგეთ. საახალწლო შვებულების წინ კი სუპერთასის მოგება ჩვენზე ფსიქოლოგიურად კარგად იმოქმედებს. მომავალში უფრო შემართებით მოვემზადებით და იმედი მაქვს, მეორე წრეში საქმეს გამოვასწორებთ. მესამე ადგილი და საქართველოს თასი — აი, ეს არის ჩვენი მიზანი ამ სეზონში.

— ამ შესვენებისას „ამერში“ მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი?

— ჯერ ამას ვერ გეტყვით. საქმე ისაა, რომ ჩვენს ფეხბურთელებზე სხვა გუნდებიდან უკვე არის საკმაო მოთხოვნა. მათ სკაუტები აკვირდებოდნენ და უკვე წინადადებებიც მივიღეთ. მართალია, ჩვენს ფეხბურთელებს სხვა გუნდები გამზადებულ კონტრაქტებს არ აზვედრებენ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მათთან საქმის დაჭერა სურთ. ჩვენ ბიჭებს ვაძლევთ შანსს, რომ საკუთარი ძალები სხვაგან მოსინჯონ და შემდეგ, თუ შემოთავაზებული პირობები „ამერს“ დააკმაყოფილებს, ისინი გავუსხვისოთ. ასეთ დროს, რა თქმა უნდა, ახალი ფეხბურთელების მოწვევაზეც უნდა ვიფიქროთ. რამდენიმე ფეხბურთელზე თვალი გვაქვს დადგმული და გვსურს, ისინი „ამერში“ მოვიწვიოთ. მაგრამ ვიდრე საქმე საბოლოოდ არ მოგვარდება, უფრო კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. მოკლედ, ახლა გუნდის დაკომპლექტების სტადიაში ვართ. მოსამზადებელ შეკრებას კი, როგორც გითხარით, ნაყოფიერად და, ცხადია, გეგმაზომიერად გავივლით.

— შვებულებაში როდემდე ხართ?

— 3 იანვარს ვიკრიბებით.

— თუმცა თქვენ ახლაც მუშაობთ...

— დამავიწყდა ბოლოს შვებულება როდის მქონდა. თანაც ახლა, როგორც გითხარით, გუნდი დაკომპლექტების პროცესშია და ვერ დავისვენებ. ადრე, ჩემპიონატში შესვენებისას, მეტი განათლების მისაღებად სტაჟირებაზე უცხოეთშიც მივემგზავრებოდი ხოლმე, თუმცა ახლა ამის დრო არ მაქვს.

— ერთი-ორი დღე კი დასვენება მაინც „მოგიწევთ“...

— ცხადია, ახალ წელს თავს მოდუნების უფლებას მივცემ. ეს ხომ ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი დღესასწაულია. მართალია, ახლა პოლიტიკური ვითარების გამო, ქვეყანაში არც თუ ისე საახალწლო განწყობაა, მაგრამ მაინც, ახალი წელი ახლოვდება და ახალი იმედებიც ჩნდება. ყველაფერი ცუდი ძველ წელს გავატანოთ და კარგზე ვიფიქროთ.

— სად შეხვდებით ახალ წელს?

— ცხადია, ოჯახში. მერე კი, როგორც გვჩვევია, ახლობელ-მეგობრებს მოვინახულებ, მივულოცავ და ახალ წელს ერთად ვიზეიმებთ.

— ფეხბურთელობისას ახალ წელს ალბათ სხვა ქვეყანაშიც შეხვედრიხართ...

— უკრაინაში, ისრაელში... ისე იყო, რომ საახალწლო პერიოდში შინ ჩამოსვლას ვერ ვახერხებდი. ისრაელი ახალ წელს სხვა დროს აღნიშნავს, მაგრამ აქედან ჩასულებისთვის ახალი წელი, ცხადია, 1 იანვარს თენდებოდა და ჩვენც ჩვენებურად აღვნიშნავდით.

— უკრაინაში როგორ ხვდებიან ახალ წელს?

— თითქმის ისევე, როგორც ჩვენ. განსხვავება ის არის, რომ საახალწლო სუფრაზე უკრაინაში უფრო არაყს ეძალებიან. და კიდევ, ახალ წელს უკრაინაში ამინდიც საახალწლოა — თოვლია. ჩვენთან კი ხანდახან გაზაფხულის ამინდია.

— თქვენს რას სვამთ?

— ოჯახის ღვინოს. მართალია, სასმელის დიდი მოყვარული არ ვარ, მაგრამ დროდადრო, სადღესასწაულო სუფრებზე დროს ჩვეულებრივ ვატარებ.

— ჩინეთშიც გითამაშიათ და იქაურ ახალ წელს ხომ არ შეხვედრიხართ?

— არა, ეს ბედნიერება არ მქონია.

— საახალწლოდ რას ისურვებდით?

— მშვიდობას და კეთილდღეობას, სიყვარულს და ურთიერთპატივისცემას, ქვეყნის აყვავებას... ძალიან მინდა, რომ 2008 წელი ქართული ფეხბურთისთვის წარმატებების წელი იყოს, ფეხბურთი ხომ ჩვენთვის ცხოვრების ნაწილია.

**ქობა ინასარიძე**

---

**ზუგდიდის „მგლებმა“ დებიუტანტის კვალობაზე კარგად კი დაიწყო ჩემპიონატი, თუმც ისე ველარ გააგრძელა და ბოლოსკენ მხოლოდ კბილებს აკრაჭუნებდა. ნლეულს ზუგდიდელებმა უმაღლესის კარი შეაღეს და, როგორც ჩანს, იქ დარჩენა არ გაუჭირდებათ. ამის თქმის საფუძველს კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი ლაშა დარასელიაც იძლევა...**



# არავითარი ოლიმპი!

## დარასელიამ თანამდებობა უარყო

— დებიუტანტის კვალობაზე ურიგოდ არ გამოვიყურებოდით. ჩვენი მიზანი რვა გუნდში მოხვედრა იყო, მაგრამ ტრავმებმა და დისკვალიფიკაციებმა შეგვიშალეს ხელი. საერთო ჯამში პირველი წრით კმაყოფილი ვარ.

— ითქვა, რომ რუსთავის „ოლიმპის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელად დაინიშნეთ...

— ტყუილია. მე ზუგდიდის „მგლების“ დამფუძნებელი ვარ და ოფიციალური თანამდებობა არც ამ კლუბში არ მაქვს. რუსთაველ გუნდში კი ჩემი მეგობრები მუშაობენ და თუ მათ რჩევებს მივცემ, ეს არ ნიშნავს, რომ ხელმძღვანელი ვარ. ღიად ვაცხადებ: მე არც ერთ კლუბში ოფიციალური თანამდებობა არ მაქვს.

— კეთილი. რა ამოცანა ექნება „მგლებს“ მეორე წრეში?

— ამბიციურები კი ვართ, მაგრამ ამოცანა იგივეა — რვა გუნდში მოხვედრა. მე-9 ადგილი ჩვენთვის უკვე წარუმატებლობა იქნება.

— როგორც ვიცით, გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. ამ ამოცანის შესრულება მათ გარეშე არ გაგიჭირდებათ?

— შესაძლოა, თუმცა იმედი გვაქვს, ამ პრობლემას დავძლევთ.

— რვა გუნდში მოხვედრა ახსენეთ და, „მგლებს“ მეტის ამბიცია არ გააჩნია?

— გუნდი 2005 წელს შეიქმნა და მას შემდეგ უმაღლესისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მოვიწევდით, ისე, რომ სეზონი არ ჩაგვიგდია. ახლა ახალგაზრდების გვეიმედება... თანაც ჩვენი მიზანია, 2009-2010 წლებისთვის ევროტურნირზე ვითამაშოთ.

— ამბობენ, „მგლებს“ სერიოზული დაფინანსება აქვსო...

— საქართველოს ჩემპიონატისთვის საშუალო, თუმც ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ხელფასი ან პრემია დაგვეგვიანებინა.

— და ამ საშუალო დაფინანსებით რამდენად მიღწევადია ევროტურნირებზე გასვლა?

— სამეგრელო სულ იყო ნიჭიერი ფეხბურთელების სამჭედლო. მე მჯერა მათი და დიდი იმედიც მაქვს.

— მარტო ადგილობრივი ფეხბურთელებით გინდათ ფონს გასვლა?

— საამსეზონო ამოცანის შესრულება, არ გაგვიჭირდება. სამომავლოდ კი ვნახოთ... ისე, ძლიერი ფეხბურთელების მოყვანას ნამდვილად ვაპირებთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლევანტეს ფეხბურთელებს ხელფასებს უმალავენ

**ესპანური** პრიმერადივიზიონის კლუბში ხელფასებს არ არიგებდნენ, უცნაურია. არადა, ფაქტია, შოთა არველაძემ ჯერ კიდევ ორი თვის წინ გვითხრა, ფულს ვერ მიხდის კლუბიო.

გაირკვა, რომ „ლევანტეს“ ფეხბურთელებს რამდენიმე თვის ხელფასი არ აულიათ...

გუნდის მწვრთნელი ჯოვანი დე ბიაზი შეშფოთებულია — ხელმძღვანელობამ რაღაც უნდა იღონოს, რათა ფეხბურთელებმა თამაშზე მოახდინონ კონცენტრაციაო...

„ჯერჯერობით უკეთესობის პერსპექტივას ვერ ვხედავ. „ლევანტეს“ პრიმერადივიზიონში დარჩენის შანსი 3 პროცენტზე მაღალი არც არის“.

აქვე ვთქვათ, რომ შოთა არველაძის მინდორზე დაბრუნებას საახალწლევს გასამართ პრიმერადივიზიონის ტურში უნდა ველოდოთ: 7 იანვარს ვალენსიური დერბია — „ლევანტე“ რონალდ კუმანის „ვალენსიას“ სტუმრობს.

**ილია ნანობაშვილი**


სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ
ვეტერან ფეხბურთელ ვაჟა ქვანიას
**მამის**
გარდაცვალების გამო



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული
ფეხბურთის ლიგა სამძიმარს უცხადებენ
ვეტერან ფეხბურთელ ვაჟა ქვანიას
**მამის**
გარდაცვალების გამო


### ინგლისი

**პრემიერლიგა. XIX ტური**

**პორტსმუთი 0:0 არსენალი**

# ტოპის ტოპი საქართველოს
## ორი ქართულ-გერმანული არა



არ ვიცით, აქამდე რას ელოდნენ თურქები და ბულგარელები, თუმცა ფაქტი ესაა: გუშინ ერთად ორი ისეთი ამბავი გავიგეთ, მთლად გასაოცარი არა, მაგრამ მოულოდნელი კი გამოდგა. თუმცა მოულოდნელი უფრო მეორე ამბავზე ითქმის, პირველი კი შემზადებული, ასე თუ ისე, აქამდეც იყო. მოკლედ, დავიწყოთ

## გალათასარაი-ბულგარეთი: STOPმიოლერი!

### ამბავი პირველი

თურქული სააგენტო Turkishpress-ის ცნობით, სტამბულის „გალათასარაი" გერმანელმა მწვრთნელმა კარლ-ჰაინც ფელდკამპმა დატოვა.

73 წლის ფელდკამპს ჯანმრთელობა შერყევია და ორი კვირაა, გუნდში არ გამოჩენილა. მეტიც, მას „ანკარასთან" და „გენჩლერბირლიგისთან" მატჩებშიც არ გაუყვანია გუნდი.

თურქი ჟურნალისტების ცნობით, ფელდკამპი გერმანიაში დაბრუნდა, „გალათასარაი" კი ახალ მწვრთნელს ეძებს და...

იურგენ კლინსმანი, ლოთარ მათეუსი, კლაუს ტოპმიოლერი — ამ სამეულთან თურქებმა უკვე აწარმოეს მოლაპარაკებები, თუმცა ვერც ერთი ვერ დაითანხმეს.

ზემოთ პირველ ამბავს „ასე თუ ისე შემზადებული" ვუწოდეთ და ასეც არის — ტოპმიოლერს რომ საინტერესო თურქული ვარიანტი ჰქონდა, ეს ადრეც ითქვა და თავად ტოპისაც არ დაუმალავს „სარბიელთან" ინტერვიუში, ოღონდ ისიც ბრძანა, ამ წინადადებას სერიოზულად არ განვიხილავ და კლუბის დასახელებასაც აზრი არა აქვსო.

ახლა კი გამოჩნდა, რომ ტოპმიოლერი არ ტყუოდა — „გალათასარაის" უარი უთხრა, ჩვენ კი, თურქი ჟურნალისტების დახმარებით, კლუბის ვინაობაც შევიტყვეთ.

ამის შემდეგ Turkishpress-ის წერილში ჩვენთვის მაინცდამაინც საინტერესო აღარაფერია, თუმცა ერთს მაინც ვიტყვით: „გალათასარაის" წარმომადგენელმა გერმანელ მწვრთნელებთან მოლაპარაკება არ უარყო, მაგრამ თავი ასე გაიმართლა — „ფელდკამპი ისევ ჩვენი მწვრთნელია. ის ჩვეულებრივი ადამიანია და ნუ გამორიცხავთ, რომ შესაძლოა, ავად გახდეს. ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავთ, ჰერ კარლ-ჰაინცი გამოჯანმრთელდება და დაგვიბრუნდება".

### ამბავი მეორე

სოფიური სააგენტო Novinite იტყობინება, რომ... ბულგარეთმა კლაუს ტოპმიოლერი ხელიდან გაუშვა.

ბულგარეთი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეა და ჯერაც მთავარი მწვრთნელის ძიებაშია.

იქაური ჟურნალისტების ცნობით, ტოპმიოლერი ყველაზე სასურველი კანდიდატურა იყო ბულგარეთის საფეხბურთო კავშირისთვის, თუმცა მათი გეგმები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ჩაშალა — როგორც იცით, სფფ და ტოპი ახალ, ორწლიან კონტრაქტზე შეთანხმდნენ.

Novinite წერს, რომ თავის დროზე კლაუს ტოპმიოლერი „ლევერკუზენში" მათ თვისტომ დიმიტარ ბერბატოვს წვრთნიდა და ეს კიდევ ერთი პლუსი იყო ტოპის დანიშვნის საქმეში, თუმცა...

„ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრებში დარჩენა გადაწყვიტა. ამ გუნდს ის 2006 წლიდან ხელმძღვანელობს და უკვე გასაგებად თქვა, რომ სხვა წინადადების განხილვას არ აპირებს. ასე რომ, მომავალ ციკლში ის ჩვენი კი არა, ჩვენი მეტოქის მწვრთნელი იქნება" — წერენ ბულგარელები.

და ერთიც: ტოპმიოლერი უკვე მეორე მწვრთნელია, რომელმაც ბულგარეთს უარი უთხრა. პირველი კი სლოვენიელი სრეჩკო კატანეცი იყო, ვინაც მაკედონიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი ახლახან გააგრძელა.

გეხსომებათ, თავის დროზე კატანეცი ტოპმიოლერის ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი იყო საქართველოს ნაკრებშიც...

**კახა შალამბერიძე**

# მე ყოველთვის მჯეროდა მისი
## მარკ ჰიუზმა ხიზანიშვილს პროფესიონალიზმი მოუწონა




**მარტში** „ვესტ ჰემთან" საშინაო მარცხის (1:2) შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი „ბლექბერნის" ძირითადში მხოლოდ „ჩელსისთან" წინა კვირის მატჩში გამოჩნდა.

ქართველი ფეხბურთელი რაიან ნელსენს რომ შეუწყვილდებოდა, წინასწარ ვიცოდით, ვკითხულობთ „ბლექბერნის" ოფიციალურ ვებგვერდზე. დაცვის ხაზში ფრანგი კრისტოფერ სამბას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჰოლანდიელი ანდრე ოიერის ტრავმით გამოწვეული სიცარიელე ხიზანამ შეავსო და, იმავ ვებგვერდის ცნობით, „ბლექბერნის" დაცვის სული და გული იყო.

თავად ხიზანიშვილი გახარებულია, რომ ისევ შეძლო ძირითადში თამაში, თუმცა შედეგით ძალიან უკმაყოფილოა.

„კარგია, რომ თამაშმა ისევ მომიწია, თუმცა ჩვენთვის არასასურველი შედეგი დაფიქსირდა. „ჩელსისთან" არათუ ფრე, მოგებაც შეგვეძლო. იმ დღეს იღბალმა ზურგი გვაქცია" — განაცხადა ხიზანიშვილმა.

„ყოველთვის გეუბნებოდით, რომ ზურაბ ხიზანიშვილი ჩვენთვის საჭირო ფიგურაა. კმაყოფილი ვარ მისი თამაშით და მჯერა, ის კიდევ არაერთხელ გაგვიწევს დახმარებას. ლონდონის „ჩელსის" მრისხანე თავდასხმის წინააღმდეგ ასე თავდაჯერებულად ითამაშა, თანაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, რაც მის პროფესიონალიზმზე მეტყველებს. ზურა უთამაშებლობამ „განარისხა" და გაათმაგებული ძალით ვარჯიშობდა. შედეგიც სახეზეა" — ეს სიტყვები კი „ბლექბერნის" უელსელ თავკაც მარკ ჰიუზს ეკუთვნის.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



საქართველოს ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა“ პირველი წრის დასრულების შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა, მათ შორის, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მარცხენაფლანგელი გიორგი ნავალოვსკი. „ოლიმპის“ უკრაინელი მწვრთნელის ანატოლი პისკოვეცის ასეთმა გადაწყვეტილებამ ალბათ ბევრი გააკვირვა. ნავალოვსკისთან საუბარიც სწორედ ამ თემით დავიწყეთ...

# წარუმატებლობას მარტო ჩვენ ნუ დაგვაბრალებენ!

— მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა და რა უნდა ვთქვა. ესე იგი, გუნდს არ ვჭირდებით. ჩვენ გაგვიშვეს და როგორც ვიცი, რამდენიმე უკრაინელის მოყვანას აპირებენ.

— „ოლიმპი“ წინა სეზონში ჩემპიონი გახდა, ამ ჩემპიონატში კი კარგად ვეღარ გამოიყურებოდა. შენი აზრით, ეს რისი ბრალია?

— სეზონი თავიდანვე ცუდად დავიწყეთ. ევროთასიდან „ასტანამ“ გაგვაგდო, ჩემპიონატში „დინამოსთან“ შინ წავაგეთ და მწვრთნელიც შეიცვალა. პირველ წრეში ფეხბურთელებმაც ვერ ვითამაშეთ, თუმცა პისკოვეცსაც ჰქონდა შეცდომები. ასე რომ, წარუმატებლობა ყველას ბრალი იყო და მარტო ფეხბურთელებზე ნუ გადატეხენ ჯოხს.

— უგუნდოდ დარჩი და ახლა რას აპირებ?

— უცხოური ვარიანტებიც მაქვს და იმასაც გეტყვი, რომ ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი მოწინავე გუნდიც მეპატიჟება, თუმცა ახლა ვერ დავასახელებ. ჩაივლის საახალწლო დღეები და მაშინ მეცოდინება, რომელ კლუბში გადავალ.

— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში სტაბილურად თამაშობ და ამ თემაზეც გკითხავ. ევროშესარჩევ მატჩში რუსეთი 2:0 დაამარცხეთ, არადა, მანამდე რამდენიმე მწარე მარცხი იწვნიეთ. მაგალითად, 1:4 ყაზახეთთან.

— ყაზახეთში მართლაც ცუდად ვითამაშეთ. ჩემი აზრით, ეს გამოუცდელობის ბრალიც იყო. ჩვენს სტადიონებზე ძალიან ცოტა ხალხი დადის და ალბათ ამანაც იმოქმედა — იქ სტადიონზე ისეთი ყიჟინა იყო, რომ... უხეში შეცდომები დავუშვით და რომ მახსენდება, გული მიკვდება.

— ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერ რუსეთთან კი შთამბეჭდავად მოიგეთ. პეტარ სეგრტმა განსაკუთრებულად მოგამზადათ ამ მატჩისთვის?

— რუსებთან თამაშს ყოველთვის სხვა დატვირთვა აქვს, სეგრტი კი ყველა შეხვედრის წინ მაგრად გვ-ქოქავს ხოლმე. იმ მატჩში ყველამ კარგად ითამაშა და ბედნიერი ვარ, რომ ლამაზად მოვიგეთ.

**ნუკრი ლოლაძე**

# მაღაროელმა მერანიდან სევასტოპულო წაიყვანა



წლეულს პირველლიგელმა ჭიათურის „მაღაროელმა“ ბლომად სიურპრიზები შესთავაზა ქომაგს. ჯერ იყო და, ბოლნისის „სიონი“ დაიფრინა თასიდან, შემდეგ კი ჯგუფურ ეტაპზე სამ თბილისურ გუნდთან — „დინამოსთან“, „ვიტ ჯორჯიასთან“ და „ლოკომოტივთან“ — იჭიდავა და დინამოელებთან ერთად მეოთხედფინალში გააღწია, სადაც ასევე დედაქალაქურ „ამერს“ შეხვდება.

ჭიათურელები გუნდის გაძლიერებას ცდილობენ და თბილისის „მერანიდან“ 6 თვით დავით სევასტოპულო ინათხოვრეს.

ცნობისთვის: სევასტოპულო „მაღაროელის“ ყოფილი ფეხბურთელია, „მერანში“ გადასვლამდე კი „ამერში“ იყო.

როგორც შევიტყვეთ, ზემოიმერლები კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს შეიმატებენ.

**ნუკრი ლოლაძე**



# საბავშვო ბაღის გამგე

## პეტარ სეგრტის 90-წუთიანი სიყვარული

**საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები**

**სულ**

16 მატჩი: +6=0-10 22:27

**ოფიციალურები**

10 მატჩი: +4=0-6 11:19

**პეტარ სეგრტის მწვრთნელობისას**

11 მატჩი: +4=0-7 16:21

**ოფიციალურები**

6 მატჩი: +2=0-4 6:13

**მეგოლეები**

5 — ბექა გოცირიძე
2 — ოთარ მარცვალაძე
აკაკი ხუბუტია
რევაზ ბარაბაძე
1 — რევაზ გეწაძე
სანდრო იაშვილი
გიორგი ნოდ. ჭელიძე
გურამ კაშია
შოთა გრიგალაშვილი
დავით ხორგუაშვილი
სანდრო კობახიძე
მირზა ბჟალავა
ლადო დვალიშვილი
მათე ლვინიანიძე

**ოფიციალურები**

| | | |
|---|---|---|
| 2005 | | |
| მალტა | ს | 2:1 |
| მალტა | შ | 2:1 |
| ლიტვა | ს | 0:1 |
| სერბეთი | შ | 1:3 |
| 2007 | | |
| ესპანეთი | შ | 0:1 |
| პოლონეთი | ს | 1:3 |
| ყაზახეთი | შ | 2:1 |
| ყაზახეთი | ს | 1:4 |
| ესპანეთი | ს | 0:4 |
| რუსეთი | შ | 2:0 |

„პეტარ სეგრტს მოქმედი კონტრაქტი აქვს და მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხი არ დგას“ — თქვა ამასწინათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა.

სეგრტი სანაკრებო ბანაკში პირველად შარშან ეროვნული გუნდის ავსტრია-გერმანიაში გამართულ მატჩებში გამოჩნდა. ულვაშა ხორვატი ნაკრების მზვერავად მუშაობდა, წლეულს თებერვალში კი საქართველოს 21-წლამდელთა გუნდის თავკაცად დაინიშნა და მისი მწვრთნელობით ჩვენებმა თურქ თანატოლებთან საშინაო ამხანაგური 1:2 წააგეს.

ეს წლეულს, შარშან კი 21-წლამდელებს ხან რალფ მინგე ხელმძღვანელობდა, ხანაც კობა ჟორჟიკაშვილი.

თუმც აქ სეგრტზე გვაქვს ლაპარაკი: ემოციურმა ხორვატმა სამწვრთნელო ნიჭი პირველად ესპანეთთან შინ წაგებულ შესარჩევ მატჩში გვაჩვენა — ქართველები ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან დასაკლავად გასაწირი ბეკეკებივით სულაც არ გამოიყურებოდნენ, გუნდურობა ეტყობოდათ, ბოლომდე იბრძოლეს და იმის იმედიც გაჩნდა, რომ ჯგუფში მეორე ადგილს დავიკავებდით...

თუმც ამას მოჰყვა მიჯრით წაგებები: ესპანეთთან გასვლაზე წაგებას კიდევ ჩაყლაპავს კაცი, პოლონეთთან 1:3-იც, ჰა-ჰა, გადასატანია, მაგრამ ყაზახეთთან სამბურთიანი სხვაობით წაგებამ სეგრტის ავტორიტეტი მთლად წაშალა.

„მე სერიოზული საუბარი მექნება სეგრტთან, თუ რატომ ითამაშა ნაკრებმა ასე ცუდად ყაზახეთში“ — თქვა მაშინ ახალკაცმა.

თუმც ყაზახურ ფიასკოს რუსეთთან გამარჯვება მოჰყვა, თანაც, სეგრტს საკმაოდ შეთხელებული შემადგენლობა ჰყავდა — ტრავმების გამო ბევრი ფეხბურთელი დააკლდა და რამდენიმე უწვერული ჭაბუკის დაყენება მოუხდა ჩრდილოელ მეზობლებთან.

„ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ გაზეთებში გამაკრიტიკა, საბავშვო ბაღად აქცია ნაკრებიო, მაგრამ ამ საბავშვო ბაღმა რუსეთს მოუგო“ — ამაყი და გახარებული იყო ულვაშა ხორვატი.

გამწვრთნელებიდან დღემდე, სეგრტმა 10 მატჩში 39 ფეხბურთელი გამოსცადა. რა თქმა უნდა, საკმაოდ ბევრია, მაგრამ ისიც ვთქვათ, რამ ეს ახალგაზრდული ნაკრებია, მოთამაშეების გამოცდა აუცილებელია და, შეიძლება ითქვას, სეგრტმა ბოლოს ლიდერთა ბირთვს მიაგნო. მის ხელში საოცრად ითამაშდა ბექა გოცირიძე, ჯერ მარტო რუსეთს ულამაზესი გოლი გაუტანა და სხვა მატჩებშიც შეაგდო, არადა, ბექა „ზესტაფონში“ ასე მძლავრად ვერ ბურთაობდა.

„ერთმანეთს დაუძახეთ, უყვირეთ, გული, ემოცია და ჯიგარი ჩადეთ!“ — სეგრტის ვარჯიშები საინტერესო საყურებელია, თვითონაც ფეხბურთელებზე არანაკლებ ენერგიას ხარჯავს.

ერთ მოგებას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია: სეგრტი უკვე შეიყვარა ქართველმა გულშემატკივარმა.

**ილია ნანობაშვილი**

# ჰაინცის ჰაი-ლაითები

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები**

სულ

27 მატჩი: +11=3-11 32:38

ოფიციალურები

12 მატჩი: +3=2-7 11:25

**მეგოლეები**

9 — წინამძღვრიშვილი
4 — ბ. გოცირიძე
3 — ფანცხავა

| ელიტ-რაუნდი. 2006. სლოვაკეთი | |
|---|---|
| თურქეთი | 0:6 |
| სლოვაკეთი | 1:4 |
| ირლანდია | 3:2 |

| პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. 2006. რუმინეთი | |
|---|---|
| ჩრ. ირლანდია | 1:0 |
| რუმინეთი | 0:3 |
| ბელგია | 3:2 |

| ელიტ-რაუნდი. 2007. შოტლანდია | |
|---|---|
| პორტუგალია | 0:0 |
| შოტლანდია | 1:2 |
| თურქეთი | 1:1 |

| პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. 2007. საქართველო | |
|---|---|
| ჰოლანდია | 1:2 |
| ნორვეგია | 0:1 |
| ლატვია | 0:2 |



ბაჩანა [illegible] ფოტო

**17-ᲬᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ** თავკაც ჰერბერტ ცანკერისა არ იყოს, ჰაინც ტოპმიოლერის საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში ორი წლით დარჩენასაც დიდი კითხვის ნიშანი უსვია.

ვერ გეტყვით, რა იყო გასაბრაზებელი, როდესაც თბილისში ჩაფლავებული ევროშესარჩევი ეტაპის შემდეგ ჰერ კლაუსის უფროსი ძმა გავაკრიტიკეთ — დავიჯეროთ, ვინც ჰოლანდია-ნორვეგია-ლატვიასთან მატჩები ნახა, გუნდს გუნდობისა რამე შეატყო?!

დავიწყოთ ჰაინცის დებიუტიდან, რომელიც სლოვაკეთში შედგა. ნაკრებმა წინა წელს კობა ჟორჟიკაშვილის თავკაცობით გადალახა პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი და სლოვაკეთში ელიტ-რაუნდის სათამაშოდ ჩავიდა, მაგრამ სამ მატჩში 12 გოლი გაუშვა. პირველივე შეხვედრაში ჩვენები 0:6 განადგურდნენ თურქებთან, მერე სლოვაკეთთანაც 1:4 შერცხვნენ და ბოლოსლა მოიქნიეს კუდი ირლანდიასთან მოგებით.

ერთიც: ჰაინცის 19-წლამდელებს საკმაოდ ხშირად უძევებდნენ ფეხბურთელს, თუმც ამისთვის მხოლოდ ჰერ კლაუსის დედმამიშვილს ნუ გავკიცხავთ, რაკილა ეს სენი სხვა ასაკობრივ ნაკრებებსაც შეჰყრიათ.

შარშანვე, შემოდგომაზე 19-წლამდელებმა პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი გადაავორეს, მაგრამ წლეულს ელიტ-რაუნდში ისევ „ჩაიჭრნენ". პორტუგალია-შოტლანდია-თურქეთის მარაქაში სამი მატჩიდან ერთი წააგეს და ორი ფრედ დაასრულეს.

საერთო აზრით, ჰერ ჰაინცის განკარგულებაში ძალიან კარგი თაობა შეიკრიბა, რომლებმაც 2005 წელს იტალიურ ლინიანოში ახალგაზრდული ოლიმპიადა მოიგეს, ამას დაუმატეთ ცანკერის 17-წლამდელებში ნათამაშევი გამორჩეული ჭაბუკებიც.

და წლევანდელი, თბილისში გამართული ევროშესარჩევის პირველი ეტაპი, რომელშიც ჰაინც ტოპმიოლერის გუნდმა სამივე შეხვედრა წააგო, მათ შორის, ლატვიასთანაც. კი, გასაგებია, რომ ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე და გიორგი მაკარიძე დაღლილები იყვნენ შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ, მაგრამ ასეთი ანტითამაში?! გუნდი, მხოლოდ ჰოლანდიასთან პირველ ტაიმში გამოჩნდა, დანარჩენ ორმატჩნახევარში კი ქართველთა ბურთაობას არ შეეხედებოდა.

ისე, სადაც სხვისი ვთქვით, ჰაინცისაც ვახსენოთ და, მისი ნაკრებიდან ეროვნულ გუნდში მცველი ამირან სანაია დააწინაურეს. პერსპექტივის თვალსაზრისით, მშვენიერია, მაგრამ თუკი ამ ასაკში მართლაც ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, შედეგს რაღა უშლის ხელს?!

**ილია ნანობაშვილი**

# დამთავრდება ცანკ-ერა?

## პირველი ჩამოსული პირველი მიდისო...



ზურაბ [illegible]ის ფოტო

**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები**

სულ

32 მატჩი: +16=2-14 49:50

ოფიციალურები

6 მატჩი: +2=0-4 11:10

**მეგოლეები**

7 — შეყილაძე
5 — ძალამიძე, ჯოხაძე
4 — ყენია
3 — ანანიძე, გუგუჩია

| ევროშესარჩევის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. 2006. საქართველო | |
|---|---|
| რუსეთი | 1:2 |
| გერმანია | 0:1 |
| მაკედონია | 5:0 |

| ევროშესარჩევის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. 2007. ბულგარეთი | |
|---|---|
| ხორვატია | 0:4 |
| უნგრეთი | 0:1 |
| ბულგარეთი | 5:2 |

**ᲙᲚᲐᲣᲡ** და ჰაინც ტოპმიოლერები, რალფ მინგე და პეტარ სეგრტი ერთად რომ ავიღოთ, მათზე დიდი დრო გაუტარებია ჰერბერტ ცანკერს საქართველოში. 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცი, ფაქტობრივად, სულ აქ გახლდათ — კარგად ეძებდა თუ ცუდად, მუშაობდა კაცი და აკი გერმანელ მწვრთნელებს შორის ერთადერთია, საქართველოს რომელიმე ასაკის ნაკრების მატჩებში დადებითი ბალანსი რომ აქვს. ჯამში ცანკერის გაწვრთნილებმა 16 მატჩი მოიგეს და ორით ნაკლები წააგეს, მაგრამ...

მაგრამ ის, რომ 17-წლამდელებმა ვერც შარშან გადალახეს პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი და ვერც წლეულს. კიდევ ერთი „მაგრამ" ისაა, რაც ცანკერის სასარგებლოდ ლაპარაკობს — სწორედ მისი თავკაცობისას გამოჩნდნენ ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე და გიორგი მაკარიძე, რომლებიც დღეს ეროვნული გუნდის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებად ითვლებიან.

„17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მიზანი უფროსი ასაკის გუნდისთვის ფეხბურთელების მიწოდებაა, თუმცა შედეგებიც ძალიან მნიშვნელოვანია" — არაერთხელ თქვა ცანკერმა.

ჩვენი ჭაბუკების შარშანდელი და წლევანდელი შედეგები რომ შევადაროთ, ცა და დედამიწასავით გამოვა — შარშან გაცილებით უკეთესი იყო და ეს არცაა გასაკვირი: ყენია, მჭედლიძე და მაკარიძე ხომ წლეულს 17-წლამდელებს არ გაკარებიან.

ჯერ იყო და, ქართველები პალანგის ტურნირის ფინალში გავიდნენ, სადაც რუსებთან 1:2 წააგეს, მერე კი, ოქტომბერში, შესარჩევი ციკლი დაიწყო და სწორედ მაშინ დავრწმუნდით 1990 წელს დაბადებულების ნიჭში: ყენიამ და მჭედლიძემ გუნდი გააძლიერეს, რუს და გერმანელ თანატოლებთან, მართალია, ორივე თამაში წააგეს, მაგრამ კარგად გეხსომებათ, ჯერ რა საშინელი მსაჯობა იყო და თანაც, რამდენჯერ გადაურჩნენ მეტოქეები უეჭველ გოლს.

იღბალსა და მსაჯებზე გადაბრალება ყველას ყელში ეჩნება ამოსული, მაგრამ ვინც ის მატჩები ნახა, დაგვეთანხმება, რომ არ ვაჭარბებთ...

ცანკერი წლეულსაც ბევრს დადიოდა რეგიონებში, ჭაბუკთა ლიგის თამაშებს ესწრებოდა, მისმა ნაკრებმა ბლომად ამხანაგური მატჩები გამართა (მარტო რუსეთს ოთხჯერ ეთამაშა) და ევროშესარჩევის დროც მოახლოვდა. ბულგარეთში ჩვენებმა ჯერ ხორვატიასთან 0:4 წააგეს, მერე რუმინეთთან 0:1 დათმეს და ბოლოს, არაფრისმომცემ მატჩში მასპინძლები 5:2 გაანადგურეს.

წლევანდელ 17-წლამდელებში ყენია-მჭედლიძე-მაკარიძისნაირი ტალანტები არ გამოჩენილან, თუმცა მათგან ერთი, ირაკლი შეყილაძე ამასწინათ 21-წლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს.

ცანკერს არც იმის აღიარება დაზარებია, რომ ეთქვა, შესაძლოა, სელექციაში შეცდომები დავუშვიო. დღეს კი ამ კაცის საქართველოში დარჩენა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას — ფედერაცია მასთან კონტრაქტის გაგრძელება-არგაგრძელებაზე ჯერ არ ჩამოყალიბებულა, თუმც უკვე არის საუბარი, რომ ცანკერს 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე გელა შეყილაძე შეცვლის.

**ილია ნანობაშვილი**

## ინგლისი
### პრემიერლიგა XIX ტური

**სანდერლენდი 0:4 მანჩესტერი**
0:1 რუნი (20), 0:2 საა (30), 0:3 რონალდუ (45), 0:4 საა (86პ)
სანდერლენდი: გორდონი, კოლინზი, ჰიგინბოთემი, მაკშეინი, ეტუჰუ, უოგორნი, უოლესი (ლიდბიტერი 46), უიტიჰიდი, იორკი (რიჩარდსონი 61), ჩოპრა (ოდონოვანი 86), ჯონსი
მწვრთნელი: როი კინი
მანჩესტერი: კუშჩაკი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი (პიკე 73), ოში, კარიკი, ფლეტჩერი, ნანი, რონალდუ (პარკი 57), რუნი, საა
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ფლეტჩერი, უიტიჰიდი, მაკშეინი
მსაჯი: რენიე
47 360 მაყურებელი

**ჩელსი 4:4 ასტონ ვილა**
0:1, 0:2 მელოუნი (14, 44), 1:2, 2:2 შევჩენკო (45პ, 50), 3:2 ალექსი (66), 3:3 ლაურსენი (72), 4:3 ბალაკი (88), 4:4 ბერი (90პ)
ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ალექსი, ეშლი კოული, ჯ. კოული, ესიენი, ლამპარდი (ბალაკი 26), ს. კალუ, შევჩენკო (შ. რაიტ-ფილიპსი 82), კ. პიზარო (მიკელი 85)
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
ასტონ ვილა: კარსონი, ბუმა (ჰარვუდი 90), ნაითი, ლაურსენი, მელბერგი, ბერი, მელოუნი (კ. დევისი 46), რეოკოკერი, აგბონლაჰორი, კარიუ (მური 78), იანგი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: ესიენი, რეო-კოკერი, ბალაკი, ჰარვუდი, ალექსი
გაძევება: ნაითი (45), კარვალიუ (80), ჯ. კოული (90)
მსაჯი: დოუდი
41 686 მაყურებელი

**დერბი 1:2 ლივერპული**
0:1 ტორესი (12), 1:1 მაკიველი (67), 1:2 ჯერარდი (90)
დერბი: პრაისი, ლიკოკი, მაკიველი, მორისი, მური (ფილპაბერი 46), ბერნესი, ლუისი, პირსონი (ჯონსონი 46), ტილი (ერნშოუ 56), ჰოვარდი, მილერი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
ლივერპული: რეინა, აურელიუ, კარაგერი, ფინანი, ჰიპია (ბენაიუნი 54), ხაბი ალონსო, ჯერარდი, რიისე, ბაბელი (კუიტი 72), ფ. ტორესი, ვორონინი (ლეივა 90)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: მაკიველი
მსაჯი: ვაილი
33 029 მაყურებელი

**ევერტონი 2:0 ბოლტონი**
1:0 ნევილი (51), 2:0 კეჰილი (70)
ევერტონი: ჰოვარდი, ლესკოტი, ფ. ნევილი (ჰიბერტი 87), იობო, არტეტა, კეჰილი, კარსლი, გრავესენი (ჯონსონი 80), იაგიელკა, პიენაარი, აიეგბენი (ვუგანი 90)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ობრაიენი, კამპო (სემუელი 58), გარდნერი, გუტრიე (მაკკანი 58), ნოლანი (ობრაიენი 75), კ. დევისი, ანელკა, დიუფი
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: ობრაიენი, დიუფი, ნოლანი
მსაჯი: სტაილზი
39 918 მაყურებელი

**უიგანი 1:0 ნიუკასლი**
1:0 რ. ტეილორი (65)
უიგანი: კირკლანდი, ბრამბლი, მელხიოტი, შარნერი, რ. ტეილორი (ოლემბე 74), ბრაუნი, კილბეინი, ლანძაატი, სიბიერსკი (აგაჰოვა 70), ვალენსია, მ. ბენტი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ნიუკასლი: გივენი, ბეიე, ს. ტეილორი, დაფი (ხოსე ენრიკე 78), ემრე, ფეიე, ჯერემი (მარტინსი 66), მილნერი, ნზოგბია, ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: ბრაუნი, მილნერი, ემრე, ს. სმიტი, ტეილორი
მსაჯი: დინი
20 304 მაყურებელი

**ტოტენჰემი 5:1 ფულემი**
1:0 კინი (27), 2:0 ჰადლსტოუნი (45), 2:1 დემპსი (60), 3:1 კინი (62), 4:1 ჰადლსტოუნი (71), 5:1 დეფო (90)
ტოტენჰემი: რობინსონი, შიმბონდა, კაბული, კინგი (ტაარაბტი 73), ლი, ჰადლსტოუნი, ლენონი, მალბრანკი, ოჰარა, ბერბატოვი (ბოატენგი 63), კინი (დეფო 68)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ფულემი: ნიემი, ბეირდი (ფოლცი 46), ბოკანეგრა, ბიუზი (ჰილი 64), კონჩესკი, დეივისი, დემპსი, სეოლი (ბუაზა 46), მერფი, სმერტინი, კამარა
მწვრთნელი: ბილი მაკკინლი
გაფრთხილება: ბეირდი, ფოლცი, სმერტინი, ჰადლსტოუნი, დეივისი
გაძევება: ფოლცი (87)
მსაჯი: მარინერი
36 077 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 1:1 რედინგი**
1:0 სოლანო (42), 1:1 კიტსონი (60)
ვესტ ჰემი: გრინი, მაკარტნი, ნილი, სპექტორი, აპსონი, ლიუნგბერგი, მალინსი, პარკერი, სოლანო (ნოუბლი 77), ეშტონი, კოული (კამარა 72)
მწვრთნელი: ალან კერბიში
რედინგი: ჰანემანი, ინგიმარსონი, მერფი, შორი, სონკო, კონვეი (სისე 66), გუნარსონი, ჰარპერი, ჰანტი, დოილი (ბიკეი 90), კიტსონი (ლონგი 85)
მწვრთნელი: სტივ კოპელი
გაფრთხთილება: გრინი, ჰანტი, კოული, შორი
გაძევება: გუნარსონი (29)
მსაჯი: უოლტონი
34 277 მაყურებელი

**ბირმინგემი 3:0 მიდლსბრო**
1:0 დაუნინგი (22ს.კ.), 2:0 ფორსელი (45), 3:0 მაკშეფრი (90პ)
ბრმინგემი: ტეილორი, ჟაიდი, კელი, კოდრიუ, რიჯველი, დ. ჯონსონი, ლარსონი (ნაფტი 82), მაკშეფრი, მუამბა, ფორსელი (ოკონორი 77), ჯერომი
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
მიდლსბრო: შვარცერი, პოგატეცი, ვიტერი (ჰუტი 46), ვუდგეიტი, იანგი, არკა (ა. ჯონსონი 70), ბოატენგი, დაუნინგი, როშემბაკი, ალიადიერი (ლი 46), თუნჯაი
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
გაფრთხილება: არკა, მაკშეფრი, ვუდგეიტი
მსაჯი: ჰალსი
24 094 მაყურებელი

# ნახეთ, რა მოხდა სტემფორდ ბრიჯზე?!



ანდრეი შევჩენკოს დუბლის ფასი ერთი ქულაა

**უყურეთ** „ჩელსი“ — ასტონ ვილას“? თუ არა, ძალიან გაგვიჭირდება იმ ემოციის ზუსტად გადმოცემა, რაც ამ მატჩის ყურებისას ფეხბურთის მოყვარულს დაეუფლებოდა.

ფაქტები მშრალად ავწეროთ: შონ მელოუნიმ ადრიანად დააწინაურა ბირმინგემელები. მანვე პირველი ტაიმის ბოლოსწინა წუთზე პეტერ ჩეხის შეცდომა შეირგო და თავისიანები ორი ბურთით დააწინაურა. წუთის მერე მიკაელ ესიენის ჩაწოდებული ბურთი მიხაელ ბალაკს უნდა მიეღო, ოღონდ ზატ ნაითმა წესების დარღვევით არ დაანება და შედეგად წითელი ბარათი და პენალტი მიიღო. თერთმეტმეტრიანი ანდრეი შევჩენკომ გამოიყენა. ამ გოლმა იმედი გააჩინა, რომ მეორე ტაიმში „ჩელსი“ პრემიერლიგაში 71-მატჩიან წაუგებელ საშინაო სერიას გადაარჩენდა და თამაშის განახლებიდან ხუთ წუთში უკრაინელმა ფორვარდმა მეორეც გაიტანა. კალუს პასის მერე ანგარიში გათანაბრდა. მერე კი „ჩელსი“ დაწინაურდა. ბრაზილიელმა ალექსმა შევჩენკოსთან კედელი გაითამაშა და დაბალ კუთხეში შეაგდო.

ბევრისთვის გადაწყვეტილი საქმე კი მოულოდნელად გაგრძელდა — ლაურსენმა მოხდენილი საჯარიმო დარტყმით უკვე „ასტონ ვილასთვის“ გაათანაბრა.

დრო გადიოდა და ლონდონელთა იერიშების შემყურე, კიდევ ერთი გოლი თითქოს ლოგიკურიც უნდა ყოფილიყო. და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ჩელსის“ რიკარდუ კარვალიუ გაუგდეს მეტოქეზე გაშლილი ფეხებით წასვლისთვის. ის, როგორც იმ წუთას ჩანდა, გამარჯვების გოლი ბალაკმა შეაგდო იუველური სიზუსტით შესრულებული საჯარიმო დარტყმით. ეს ამბავი 88-ე წუთზე მოხდა და თუ „ჩელსის“ მოგება არ ეწერა, უკვე ნაღდად დაუჯერებელ ამბად ჩანდა. არადა, ეგრე გამოვიდა: ეშლი კოულმა მეკარის ბაჭნიდან ბურთის თავით გამოტანა სცადა, მაგრამ ხელზე მოხვდა — კიდევ ერთი გაძევება და კიდევ ერთი პენალტი. ისე, უნდა გენახათ, როგორ ინერვიულა ბერიმ, სანამ დაარტყამდა. საბოლოოდ კი, ბურთი ერთ კუთხეში შეფრინდა, ჩეხი კი მეორეში გადახტა და 4:4.

ხოლო თუ ცხრილზე ვილაპარაკებთ, უფრო მნიშვნელოვანი „მანჩესტერის“ გამარჯვება გახლდათ. ალექს ფერგიუსონის გუნდმა 4:0 მოუგო „სანდერლენდს“ და ცხრილის კენწეროში მოექცა. ოღონდაც შევნიშნოთ, რომ მანჩესტერელთა თამაში რომ დამთავრდა, „არსენალის“ პორტსმუთული ჯახი დაწყებული არ იყო (ამ შეხვედრის ანგარიში მე-2 გვერდზე იხილეთ).

სანდერლენში თითო გოლი კრიშტიუნუ რონალდუმ და უეინ რუნიმ გაიტანეს, ლუი საა კი თავისიანებს ორი გოლითაც შეეწია.

ერთი ინტრიგაც: „სანდერლენდის“ მენეჯერი, მოგეხსენებათ, როი კინია და თუ ვინ იყო კინი სულ ახლახან „მანჩესტერისთვის“, ვინძლო, სიტყვის გაგრძელება არც უნდა ღირდეს.

ნამატჩევს კი კინმა თქვა: „წაგება ვისთვის არის სასიამოვნო, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ „მანჩესტერის“ კლასი სხვაა. მაღალი კლასის მოთამაშეები ყოველთვის იყენებენ შენს შეცდომებს.“

დერბიში კი სენსაციის სუნი დატრიალდა. არა, თავიდან ყველაფერი „დაგეგმილად“ დაიწყო — ფერნანდო ტორესმა ორ მცველს შორის გაირბინა და „ლივერპული“ ადრიანად დააწინაურა. მერე სტივენ ჯერარდმა ძელსაც გაარტყა. მაგრამ გამოხდა ხანი და, დერბელმა მაკეველიმ გაათანაბრა. მერე კი, როგორც „ჩელსის“ მატჩში იყო — დრო გადიოდა და ლივერპულელები გოლს აშხადებდნენ.

გოლი სულ ბოლო წუთზე გავიდა. ტორესის დარტყმული მეკარემ მოიგერია და კაპიტანმა დაამატა...

**კოტე კეკელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 19 | 14 | 3 | 2 | 36:9 | 45 |
| არსენალი | 18 | 13 | 4 | 1 | 36:15 | 43 |
| ჩელსი | 19 | 11 | 5 | 3 | 29:13 | 38 |
| ლივერპული | 18 | 10 | 6 | 2 | 33:12 | 36 |
| სიტი | 18 | 10 | 4 | 4 | 25:20 | 34 |
| ევერტონი | 19 | 10 | 3 | 6 | 34:18 | 33 |
| პორტსმუთი | 18 | 8 | 6 | 4 | 29:19 | 30 |
| ასტონ ვილა | 19 | 8 | 6 | 5 | 33:25 | 30 |
| ვესტ ჰემი | 18 | 7 | 5 | 6 | 23:16 | 26 |
| ბლექბერნი | 18 | 7 | 5 | 6 | 23:25 | 26 |
| ნიუკასლი | 19 | 7 | 5 | 7 | 26:29 | 26 |
| რედინგი | 19 | 6 | 4 | 9 | 25:36 | 22 |
| ტოტენჰემი | 19 | 5 | 6 | 8 | 35:32 | 21 |
| ბირმინგემი | 19 | 5 | 3 | 11 | 21:30 | 18 |
| ბოლტონი | 19 | 4 | 5 | 10 | 21:29 | 17 |
| მიდლსბრო | 19 | 4 | 5 | 10 | 17:33 | 17 |
| უიგანი | 19 | 4 | 4 | 11 | 19:34 | 16 |
| ფულემი | 19 | 2 | 8 | 9 | 20:34 | 14 |
| სანდერლენდი | 19 | 3 | 5 | 11 | 17:38 | 14 |
| დერბი | 19 | 1 | 4 | 14 | 9:43 | 7 |

პორტსმუთი — არსენალის შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რონალდუ (მანჩესტერი) | 11 |
| ადებაიორი (არსენალი) | 10 |
| ანელკა (ბოლტონი) | 10 |
| აიეგბენი (ევერტონი) | 9 |
| მვარუვარი (პორტსმუთი) | 9 |

**XX ტური**
29 დეკემბერი

| | |
|---|---|
| ბირმინგემი | ფულემი |
| ჩელსი | ნიუკასლი |
| დერბი | ბლექბერნი |
| ევერტონი | არსენალი |
| სიტი | ლივერპული |
| პორტსმუთი | მიდლსბრო |
| სანდერლენდი | ბოლტონი |
| ტოტენჰემი | რედინგი |
| ვესტ ჰემი | მანჩესტერი |
| უიგანი | ასტონ ვილა |

**ჩემპიონატი. XXIV ტური**

უოტფორდი — კარდიფი 2:2; ბარნსლი — სტოკი 3:3; ბარნლი — შეფილდ უენ. 1:1; კოლჩესტერი — საუთჰემპტონი 1:1; ქოვენთრი — კრისტალ პალასი 0:2; ჰალი — ვულვზი 2:0; ლესტერი — იფსვიჩი 2:0; ნორვიჩი — ჩარლტონი 1:1; პლიმუთი — ქუინზ პარკი 2:1; პრესტონი — სკანთორპი 0:1; შეფილდ იუნ. — ბლექპული 1:1; ვესტ ბრომვიჩი — ბრისტოლი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 24 | 13 | 5 | 6 | 51:29 | 44 |
| უოტფორდი | 24 | 13 | 5 | 6 | 39:30 | 44 |
| სტოკი | 24 | 11 | 8 | 5 | 39:30 | 41 |
| ბრისტოლი | 24 | 11 | 8 | 5 | 31:30 | 41 |
| ჩარლტონი | 24 | 11 | 6 | 7 | 34:28 | 39 |
| პლიმუთი | 24 | 10 | 7 | 7 | 33:26 | 37 |
| იფსვიჩი | 24 | 10 | 6 | 8 | 40:33 | 36 |
| ვულვზი | 24 | 9 | 8 | 7 | 23:22 | 35 |
| კრ. პალასი | 24 | 8 | 10 | 6 | 29:26 | 34 |
| ბარნლი | 24 | 8 | 10 | 6 | 33:31 | 34 |
| ჰალი | 24 | 9 | 7 | 8 | 30:28 | 34 |
| ბარნსლი | 24 | 8 | 8 | 8 | 29:32 | 32 |
| საუთჰემპტონი | 24 | 9 | 5 | 10 | 33:39 | 32 |
| კარდიფი | 24 | 7 | 9 | 8 | 30:31 | 30 |
| შეფილდი | 24 | 8 | 6 | 10 | 27:29 | 30 |
| ქოვენთრი | 23 | 8 | 5 | 10 | 26:37 | 29 |
| ბლექპული | 24 | 6 | 9 | 9 | 29:31 | 27 |
| ლესტერი | 24 | 5 | 11 | 8 | 23:23 | 26 |
| უენსდი | 23 | 7 | 5 | 11 | 28:31 | 26 |
| სკანთორპი | 24 | 6 | 8 | 10 | 26:33 | 26 |
| ნორვიჩი | 24 | 7 | 5 | 12 | 22:32 | 26 |
| პრესტონი | 24 | 6 | 6 | 12 | 23:29 | 24 |
| ქუინზ პარკი | 24 | 5 | 9 | 10 | 23:35 | 24 |
| კოლჩესტერი | 24 | 4 | 10 | 10 | 36:42 | 22 |

**I ლიგა. XXII ტური**

ჰართლპული — ლიდსი 1:1; ჯილინგემი — საუთენდი 1:1; მილუოლი — ბრაიტონი 3:0; სუონსი — ჩელტენემი 4:1; იოვილი — სუინდონი 0:1; ბორნმუთი — ლუტონი 3:1; როვერსი — ლუტონი 1:1; დონკასტერი — ნორთჰემპტონი 2:0; პ ადერსფილდი — ქრიუ 1:1; ოლდემი — ნოტინგემი 0:0; პორტ ვეილი — უოლსოლი 1:1; ტრანმერი — კარლაილი 2:0

**II ლიგა. XXII ტური**

ბარნეტი — დაგენემი 3:1; ბრენტფორდი — უიკომბი 1:3; ბრედფორდი — ლინკოლნი 2:1; ბერი — ჩესტერფილდი 0:1; გრიმსბი — აკრინგტონი 1:2; მაკლსფილდი — ჰერეფორდი 0:1; მენსფილდი — პიტერბორო 2:0; მორკემბი — ჩესტერი 5:3; ნოთსი — მილტონი 1:2; შრუსბერი — სტოკპორტი 3:1; როჩდეილი — როთერჰემი 1:1; ... 0:2; დარლინგტონი — როტერჰემი 1:1

**კონფერენსლიგა. XXIV ტური**

ექსეტერი — ტორკი 4:3; უოკინგი — ალდერშოტი 0:1; ალტრინჩემი — ნორთვიჩი 1:2; კემბრიჯი — ჰისტონი 1:0; ფარსლი — ჰალიფაქსი 3:0; ფორესტ გრინი — კიდერმინსტერი 2:2; გრეისი — ებსფლიტი 1:1; ოქსფორდი — ქროული 1:0; რაშდენი — სტივენეჯი 0:0; სოლსბერი — ვეიმუთი 1:1; სტაფორდი — ბარტონი 0:3; იორკი — დროილსდენი 2:1

# სერ ალექს ფერგიუსონის მრისხანება და აღფრთოვანება



### დანაშაული და სასჯელი

„მანჩესტერ იუნაიტედს“ ქეიფი აეკრძალა! იმ შემთხვევაშიც კი, თუ სეზონის ბოლოს, გუნდი მეათედ მოიპოვებს ჩემპიონის ტიტულს, წვეულება არ გაიმართება!

და ნუ გაგიკვირდებათ, თუ შეიტყობთ, რომ ეს სასტიკი გადაწყვეტილება მიიღო არა რომელიმე დამსჯელმა ორგანომ, არამედ საკუთრივ „იუნაიტედის“ თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა.

მაშ ასე, მეტი სიცხადისთვის გავიმეოროთ: არა თუ საშობაო და საახალწლო წვეულებები, გაზაფხულზეც, ჩემპიონობის შემთხვევაშიც კი, არანაირი „დიპლიპიტო“ არ იქნება. და ეს გადაწყვეტილება სერ ალექსმა ფეხბურთელების საერთო კრებაზე ყველას გასაგონად გამოაცხადა.

ოღონდ, ძალიან გთხოვთ, გულუბრყვილოდ ნუ იკითხავთ მწვრთნელი რამ გააბრაზაო. რამ და 17 დეკემბრის იმ ცნობილმა „ფართიმ“, გასულ კვირას რომ მოეწყო და კოშმარულ ორგიაში რომ გადაიზარდა. „სარბიელის“ მკითხველს ეხსომება, რომ საქმე პოლიციამდეც კი მივიდა: „იუნაიტედის“ 19 წლის მოთამაშე ჯონი ევანსი მავანი ქალის გაუპატიურებაშია ეჭვმიტანილი.

თავისი ფეხბურთელების ალვირახსნილმა ტაშ-ფანდურმა ფერგიუსონი ისე გააცეცხლა, რომ იმ ქეიფის ყველა მონაწილეს — განურჩევლად იმისა, ქალს აუპატიურებდა თუ უბრალოდ ცეკვავდა — ხელფასიდან დაუქვითა და ამ დაქვითულმა თანხამ ჯამში მილიონ გირვანქაზე მეტი შეადგინა.

ასე და ამგვარად, თუ მაისში „იუნაიტედი“ ჩემპიონი გახდება, ფეხბურთელები მოედაზე გაიხარებენ, ერთმანეთს შეახტებიან-შემოახტებიან, მერე გასახდელში წყალს გადაივლებენ და შინ წავლენ.

ყველა სიკეთესთან ერთად, სერ ალექსი თავის ფეხბურთელებს მკაცრ კონტროლსაც დაპირდა. ჩვენებურად რომ ვთქვათ, დედითქვენის შვილები ხართ და რაიმე ზღვარგადასული კიდევ გაგიკეთებიათ, ნახავთ რა დღეშიც ჩაგაგდებთო.

### რონი სულ სხვაა

თუმცა ცხოვრება მხოლოდ ცუდისგან როდი შედგება — სერ ალექსს კოშმარული წვეულების შემდეგ გუნება, გასულ შაბათს, „ევერტონთან“ გამარჯვებამ გამოუკეთა. ფერგის ეს სამი ქულა პაერივით სჭირდეობოდაო, ამბობენ ინგლისელი მიმომხილველები და, ხაზს უსვამენ რომ მანჩესტერელთაგან ორივე გოლი გაიტანა კრიშტიანუ რონალდუმ, ერთადერთმა ფეხბურთელმა, რომელიც „იქ“ არ ყოფილა — საერთოდ არ გახლდათ მანჩესტერში.

„ამ შეხვედრაში მას შეცდომა არ დაუშვია, ის სრულყოფილი იყო — ამბობდა შემდგომ დღეებში სრულიად ბედნიერი ფერგიუსონი — პირველი გოლი ჯადოსნური იყო. ამ ბიჭს საუკეთესო თვისებები რომ აქვს მომადლებული, დიდი ხანია ცნობილია. მისგან გოლს ნებისმიერ წამს ველოდებით, მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არ არის. რონალდუ სრულყოფილია, როგორც გუნდური მოთამაშე“.

ფიფას ვერსიით მსოფლიოს მეორე ფეხბურთელისთვის „ევერტონის“ კარში გატანილი გოლები მიმდინარე სეზონში მე-16 და მე-17 გამოდგა.

„კრიშტიანუს თავდაჯერებულობა და ტემპერამენტი არასდროს აკლდა. ის მანჩესტერში ამ თვისებებით შემკული ჩამოვიდა და რაც მას თანდაყოლილი აქვს, ვერასდროს ვერავინ წაართმევს. მან ძალიან კარგად იცის, რომ მნიშვნელოვანი ფიგურაა და ყოველთვის მზად არის, თანაგუნდელებს საკუთარი თავი შესთავაზოს“.

**პაატუნა ბედია**

# ბავშვს თავი დაანებეთ!

**მოგეხსენებათ,** ბოლო ხანს, „არსენალის“ გერმანელმა მეკარემ იენს ლემანმა ლონდონური გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და მას მერე ყველა ღონეს ხმარობს, რათა ძელებს შორის დაბრუნდეს. სექტემბრის მერე, ადგილი, რომელიც მანამდე ლემანს უპირობოდ ეკუთვნოდა, მანუელ ალმუნიას გადაეცა. ამან გვარიანი დაძაბულობაც გამოიწვია, იყო მწარე სიტყვები და სხვა, მაგრამ ის, რაც ორიოდ დღის წინ მოხდა, ყოველგვარ საზღვარს გაცდა: ლონდონის ერთ-ერთი სკოლის მოედანზე გამართული ბავშვთა სარაგბო შეხვედრის დროს „მეთოფეთა“ გოლკიპერის შვილს შეურაცხყოფა მიაყენეს.

„ჩემი ვაჟი გალანძღეს. როგორც ჩანს, ხალხში ძველი სტერეოტიპები მოქმედებს — ბავშვები რაგბის თამაშობდნენ და მოწინააღმდეგე გუნდის ერთ-ერთმა წევრმა მას „სისხლიანი გერმანელი ნაცისტი“ უწოდა. ბიჭი შინ მეტისმეტად დალონებული მოვიდა“.

ამასთან, ლემანი დარწმუნებულია, რომ მისი სათადარიგოობა ბევრსახარებს:

„ეჭვი არ მეპარება, რომ ბევრი ჟურნალისტიც სიხარულით მეცხრე ცაზეა. ძირითადში არ ვარ და ეს მათ ლანძღვისთვის უხსნის ხელ-ფეხს, თუმცა ამაშიც არის თავისი დადებითი მხარე. ჩავარდნის გარეშე აღმასვლა არ არსებობს“.

ამასობაში კი ლემანის შეძენით მისი სამშობლოდან დაინტერესდნენ. დაინტერესებულთაგან ბოლო დორტმუნდის „ბორუსია“ გახლდათ, სადაც მთავარი



მეკარე, რომან ვაიდენფელერი დაშავდა და სამი თვით ჩამოშორდა სარბიელს. კარგ გუნდში გადასვლა და მის ძირითადში დამკვიდრება არის იენს ლემანის მიზანიც. 38 წლის გოლკიპერს ზაფხულში, ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება აქვს გადაწყვეტილი.

„თუ სადმე გადავალ, გადაწყვეტილება იანვრის დასაწყისშივე უნდა მივიღო. დიახ, რამდენიმე წინადადება მივიღე, მაგრამ გადაჭრით ჯერ ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი“.

**პაატუნა ბედია**

## 20 მილიონი ვილიაში

**„დეილი მირორის“** ცნობით, ინგლისური [illegible] სი“ მზად არიან, ესპანეთის ნაკრებისა და „ვალენსიის“ [illegible] აში 20 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. ამბობენ, „[illegible]“ დატოვებაზე უარს არც თავად ვილია იტყვისო, რადგან მას გუნდის თავკაც რონალდ კუმანთან აქვს კონფლიქტი. შეგახსენებთ, რომ კუმანმა უკვე დაიყვანა ტრანსფერზე სანტიაგო კანისარესი, მიგელ ანხელ ანგულო და დავიდ ალბელდა.

## ფერდინანდი ნაკრების კაპიტნად?

**თუ** „დეილი სტარს“ ვენდობით, ფაბიო კაპელოს ინგლისის ნაკრებში კაპიტნის სამკლავურს „ჩელსის“ მცველის ჯონ ტერისგან „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი რიო ფერდინანდი გადაიბარებს. შეგახსენებთ, რომ იტალიელ სპეციალისტს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე პირველი გამოცდა 6 თებერვალს, შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩში ელის.

## ლივერპულს უიფალუში უნდა

**ინგლისური** „ლივერპული“ მზად ყოფილა, ჩეხეთის ნაკრებისა და „ფიორენტინას“ მცველ ტომაშ უიფალუშიში 3 მილიონი ევრო გადაიხადოს. ფლორენციელთა 29 წლის ფეხბურთელს „ტოტენჰემსა“ და „იუვენტუსსაც“ უკავშირებენ და, შესაძლოა, ჩეხმა იანვარშივე დატოვოს „იები“.

## ჩელსი კარის დარაჯს ეძებს

**ლონდონის** „ჩელსის“ მეკარის პრობლემა აქვს, რადგან გუნდის ძირითადმა გოლკიპერმა პეტრ ჩეხმა და მისმა შემცვლელმა კარლო კუდიჩინიმ ტრავმები ერთდროულად მიიღეს. ამჟამად ავრაამ გრანტის განკარგულებაში მხოლოდ პორტუგალიელი ნენე ილარიო და 17 წლის რაის ტეილორი არიან. „დეილი მირორის“ ვერსიით, შესაძლოა, ამის გამო „ჩელსიმ“ იანვარში „ვალენსიასგან“ ტრანსფერზე დაყენებული სანტიაგო კანისარესი იყიდოს.

## სიტიმ აზია დაინახა

**„მანჩესტერ** სიტიში“ ათდღიანი სასინჯი პერიოდით ერაყის ნაკრების ნახევარმცველი ნაშატ აკრამი მივიდა. იგი „ალ აინის“ მოთამაშე და ბოლო პერიოდში უკვე მეორე აზიელი ფეხბურთელია, რომელმაც მანჩესტერელთა ყურადღება მიიპყრო — „სიტიში“ ასევე ისინჯება საუდის არაბეთის კაპიტანი, 2007 წლის აზიის საუკეთესო მოთამაშე, იასერ ალ ყაჰთანი.

## ლუკინი ლაციოსთან ახლოსაა

**იტალიური** პრესის ინფორმაციით, „სამპდორიას“ მცველი სტეფანო ლუკინი „ლაციოში“ გადადის. მისით სხვა კლუბებიც არიან დაინტერესებულნი, მაგრამ გენუელები მზად ყოფილან, ლუკინი რომაელებს დაუთმონ, ოღონდ გილერმო სტენდარდოს სანაცვლოდ. თუმცა იმასაც ამბობენ, სტენდარდოზე „ლაციოს“ სულ სხვა გეგმები აქვს — მილანელ დარიო შიმიჩში გაცვლას უპირებსო.

## ფლამენგო რონალდოს უტრიალებს

**ბრაზილიური** „ფლამენგოს“ პრეზიდენტმა კლებერ ლეიტემ დაადასტურა, რომ „მილანთან“ და მის ვეტერან ფორვარდ რონალდოსთან მოლაპარაკებას ცდილობს — სეზონის ბოლომდე „კიჭას“ თხოვება სურს. „მოლაპარაკებები დავიწყეთ და იმედია, რონალდო ჩვენთან გადმოსვლაზე უარს არ იტყვის. ასეთი დონის ფეხბურთელი რეგულარულად მინდორზე უნდა იყოს, არ აქვს მნიშვნელობა, ბრაზილიაში თუ სხვა ქვეყანაში“ — თქვა ლეიტემ.

## ოუენი მომჯობინდა

**ინგლისის** ნაკრებისა და „ნიუკასლის“ ფორვარდმა მაიკლ ოუენმა 16 ნოემბერს ავსტრიასთან ამხანაგურ შეხვედრაში მიღებული ტრავმა მოიშუშა და სრულფასოვან ვარჯიშს შეუდგა. „კაჭკაჭების“ მწვრთნელის სემ ალარდაისის თქმით, 28 წლის თავდამსხმელს მინდორზე სულ მალე ვიხილავთ. მიმდინარე პრემიერლიგაში ოუენის აქტივში 10 მატჩი და 2 გოლია.

## ალმუნია ინგლისის ნაკრებში?

**ლონდონის** „არსენალის“ მეკარის მანუელ ალმუნიას თქმით, იგი არ გამორიცხავს, რომ მიწვევის შემთხვევაში ინგლისის ნაკრებში თამაშს დათანხმდეს. „ესპანელებს არასოდეს მოსდომებიათ ჩემი გამოძახება და თუ სხვებს სურთ, რომ მათ ნაკრებში ვითამაშო, რატომაც არა? ყველას წინადადების მოსასმენად და გასაანალიზებლად მზად ვარ. ვნახოთ, ახლო მომავალში ვინ ითამაშებს ინგლისისა და ესპანეთის ნაკრებებში, ყველაფერზე კარგად დავფიქრდები და გადაწყვეტილებას მივიღებ. ინგლისელი ფანებით აღფრთოვანებული ვარ. ესპანელებისგან განსხვავებით, ისინი კარგ თამაშს ყოველთვის დაგიფასებენ, თან ორმაგად. ინგლისელები ძალიან ემოციურები და ამავდროულად თავმდაბლები არიან“ — თქვა 30 წლის ალმუნიამ.

## ლავი და ფენერბაჰჩე

**თურქული** „ფენერბაჰჩეს“ ბრაზილიელი მწვრთნელი ზიკო და მისი თანამემამულე, გუნდის ვეტერანი მცველი რობერტო კარლოსი ცდილობენ, მოსკოვის ცსკა-ს ასევე ბრაზილიელი თავდამსხმელი ვაგნერ ლავი „ფენერში“ გადაბარგებაზე დაიყოლიონ. თურქული პრესა იუწყება, რომ „არმიელები“ ლავს შეელევიან, თუ სტამბოლელები 10-15 მილიონ ევროს გაიღებენ. „ფენერბაჰჩეს“ კი ლავით სერბი მატეია კეჟმანის შეცვლა სდომებია.

**კოკი კანდელაკი**

# მხეცის სიტყვა და საქმე

## ბარსას ამკლები ჟულიო ინჩადას კვლავაც გოლებს შეჰპირდა



**ჟულიო ბაპტისტა დღეს მშობლიურ სან პაულუშია და თავის ოჯახთან და საცოლესთან ერთად საშობაო არდადეგებს მხიარულად ატარებს. მას შემდეგ, რაც „რეალში" ჩაირიცხა, „მხეცი" ამჟამად ყველაზე საუკეთესო ფორმაშია. მადრიდულ „ასთან" ინტერვიუში ჟულიომ აღნიშნა, რომ „ბარსელონასთან" კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო გოლი შეაგდო და ბედისადმი სასაყვედუროც არაფერი აქვს**

**— უპირველესად, თქვენ და თქვენს ოჯახს ბედნიერ შობას გისურვებთ...**

— მილოცვისთვის დიდი მადლობა. თქვენც ბედნიერად შეხვედროდეთ შობას. ძალიან მიხარია, რომ საშუალება მომეცა, მადრიდულ ინჩადას „ასის" საშუალებით მივულოცო.

**— წესით, ბოლოდროინდელი შედეგებით უკმაყოფილო არ უნდა იყოთ...**

— პირიქით, დიდ კმაყოფილებას და სულიერ თავისუფლებას ვგრძნობ. ბედნიერი ვარ იმით, რომ მადრიდის „რეალში" ჩემთვის ბევრი კარგი რამ ხდება და საქმეები ჩინებულად მიდის. წუწუნის და უკმაყოფილების უფლება ნამდვილად არ მაქვს. მაშინაც არ დამიჩივლია, როდესაც „რეალში" მოედანზე გამოსვლა არ მიწევდა და ახლა მით უმეტეს... მოკლედ, თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

**— ბრაზილიაში ოჯახის წევრები როგორ შეგხვდნენ?**

— თქვენი აზრით, როგორ შემხვდებოდნენ? საცოლეც და მთელი ჩემი ოჯახიც ჟულიოთი ძალიან კმაყოფილები არიან. სან პაულუში მშვენივრად ვისვენებ, მერე კი, 31 დეკემბერს, მადრიდში ჩავალ, რათა გუნდთან ერთად ვარჯიში დავიწყო. იქამდე რამდენიმე დღე დარჩა და ვცდილობ, ეს პერიოდი მაქსიმალურად გამოვიყენო.

**— „ბარსელონასთან" თქვენს მიერ გატანილი გოლის შემდეგ მადრიდის „რეალი" ახალ წელს ცხრილის გამოკვეთილ ლიდერად ხვდება...**

— „ბარსელონასთან" „ელ კლასიკოში" მარტო ჩემი გოლი კი არ ყოფილა მნიშვნელოვანი, არამედ ის სამუშაო, რაც მთელმა გუნდმა შეასრულა. ბრძოლა არ უნდა შევწყვიტოთ, რადგანაც „რეალის" მიზანი სამივე დიდ ტურნირში (პრიმერადივიზიონი, ჩემპიონთა ლიგა, კოპა დელ რეი) წარმატების მიღწევაა. ლა ლიგაში ზამთრის ჩემპიონები ვართ, მაგრამ წინ კიდევ ბევრი მატჩი გვაქვს დარჩენილი. მშვიდად უნდა ვიყოთ და ამ გზით სვლა გავაგრძელოთ — ჯერ არაფერი მოგვიგია.

**— ძალიან თავმდაბალიც ნუ იქნებით. „კამპ ნოუზე" გადასარევი გოლი შეაგდეთ...**

— დიდი მატჩი იყო, რაც შეხვედრის დამთავრებისთანავე აღვნიშნე. ასევე ვაფიარებ, რომ გოლი, რომელიც 23 დეკემბერს ვიქტორ ვალდესს გავუტანე, ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ ჩემს კარიერაში. სხვათა შორის, „კამპ ნოუზე" ადრეც გამიტანია, თუმცა მსგავსი სილამაზისა არა. „ბარსელონას" სტადიონი კარგად მაქვს დაცდილი.

**— ადრინდელ ბარსელონურ გოლზეც მოგვიყევით...**

— ეს 2004 წლის მაისში მოხდა. ამხანაგურ მატჩში ბრაზილია და კატალონია ერკინებოდნენ ერთმანეთს, 5:2 მოვიგეთ და მაშინ ერთი კი არა, ორი გოლი შევაგდე. რონალდომაც ორი გოლი გაიტანა.

**— 2008-ში რა მიზანი გექნებათ?**

— ყოველდღიურად მუშაობა და თანდათანობით წარმატების მიღწევა, ისევე, როგორც ადრე. გულშემატკივრებს კი უფრო მეტ გოლებს აღვუთქვამ.

**— ახლა ბერნდ შუსტერის ფავორიტი ხართ. ჟულიო ბაპტისტა სათადარიგოთა სკამის ძმობილიდან ძირითადის ხელშეუხებელ წევრად გადაიქცა...**

— შემაღვენლობის დაკენების ამბავს ყოველთვის მწვრთნელი განსაზღვრავს და ამჟამად შუსტერმა ასე გადაწყვიტა. სეზონთაშორისიდან მოყოლებული, ძირითადში მოხვედრისთვის ვიბრძოდი. მინდოდა, როცა საამისო შანსი მომეცემოდა, ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ მადრიდის „რეალისთვის" გამოსადეგი ვარ. სამომავლოდაც ასე ვაპირებ მუშაობას.

# რეალმა ჯოვანი უარყო

**„ბარსელონას"** მექსიკელ ფორვარდ ჯოვანი დოს სანტოსის აგენტი პინი ზაჰავი მადრიდის „რეალს" სატრანსფეროდ წაეკეკლუცა — სურდა, გაეგო, რამდენადაა დაინტერესებული მისი ფეხბურთელით და ყინულივით ცივ გულგრილობას წააწყდა.

კატალონიური გრანდი დოს სანტოსს ხელშეკრულებას სავარაუდოდ მალე გაუხანგრძლივებს, თუმცა გაქქნილი ზაჰავი მექსიკელისთვის სხვა, არაბარსელონურ ვარიანტსაც არ გამორიცხავს. ადრე ესპანურ მედიაში ინგლისურ კლუბებზე საუბრობდნენ, რომლებიც მზად იყვნენ, ნიჭიერ მოიერიშესთან სატრანსფერო მოლაპარაკება ეწარმოებინათ. ახლა კი „მარკა" გვამცნობს, რომ პინი ზაჰავამ ჯოვანი „რეალსაც" შესთავაზა, თუმცა სატახტოდან თავაზიანი უარი მიიღო.



„ბარსელონას" საფეხბურთო სკოლის აღზრდილი დოს სანტოსი დღეს მექსიკის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია — წლეულს ჯოვანიმ კატალონიური გრანდის ძირითადში გადაინაცვლა. ახალგაზრდა მოთამაშემ რამდენიმე მატჩი შესანიშნავად ჩაატარა (მაგალითად, პრიმერადივიზიონის მეთექვსმეტე ტურში „ვალენსიასთან"), მაგრამ მისი საკონტრაქტო საქმეები ისე გარკვეული არ არის, როგორც მოედანზე სიჩაუქე ჯერჯერობით ცნობილი არ არის, „ბარსა" ახალი კონტრაქტით ფეხბურთელს რა ანაზღაურებას შესთავაზებს.

**ლადო ხომერიკი**



# ჯოჯოხეთი სახელად 2007

## გაუჩო ახალ წელს და ახალ კლუბს ელოდება

**რონალდინიოსთვის** უფვერული 2007 წლის დასრულებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. „კიჭამ" იქამდე ორი ბარსელონური სეზონი დიდებით განვლო და არა მარტო ორი პრიმერა და ჩემპიონთა თასი მოიგო, არამედ ინდივიდუალურადაც მსოფლიოს ფეხბურთის ბრწყინვალე ჯილდოების („ოქროს ბურთი", „ფიფა ვორლდ ფლეიერი" და სხვა მრავალი) მფლობელი გახდა. თუმცა 2006-07-ის კამპანიაში ბრაზილიელის ბედი უკუღმა დატრიალდა და დღეს ოდინდელი კერპის ხსენებაზე კატალონიელი ინჩასები სინანულით აქნევენ თავს... არადა, მარტში რონი სულ რაღაც 28 წლის გახდება. თუ სხვა ყოჩაღნი ამ ასაკში ტიტულებს აგროვებენ, „კიჭასთვის" ცა რატომ უნდა ჩამოიქცეს?

გახსოვთ, გასულ სეზონში, სამუელ ეტოო ტრავმირებული რომ იყო, „ბარსას" შეტევის მთელი სიმძიმე მხრებზე რონალდინიომ იტვირთა და ბლომად გოლებიც შეყარა (მოსვლის წლიდან, 2003-დან მოყოლებული ყველაზე მეტი). მაგრამ „გაუჩოს" სუსტი ფიზიკური მომზადება მაშინაც კარგად ჩანდა, რონი „ბარსას" ყოველი სამი ვარჯიშიდან ერთს ტოვებდა და მიზეზად „რეკუპერაციის განსაკუთრებული კურსი" მოჰყავდა. საეჭვოა, ამ სპეციალურმა სამწვრთნელო კურსმა ბრაზილიელს საბოლოოდ რაიმე სიკეთე მოუტანოს (ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასეა), ის კი, რაზეც ადრე „კულუარებში ჩურჩულებდნენ — რონალდინიო დაუძლურდაო — დღეს ყველას გასარჩევი თემა გამხდარა.

კატალონიურ ვილაფრანკაში სამუელ ეტოოს ცნობილი ჯანყიც გავიხსენოთ. მაშინ ფიცხმა აფრიკელმა მწვრთნელი ფრანკ რაიკარდიც გალანძღა და ირიბად გუნდის თავკაცობაც გააკრიტიკა, თუმცა განსაკუთრებით მწვავედ რონალდინიოს შეეხო. „ბრაზილიელი ღამით დისკოთეკებზე გაცილებით ბევრს „შრომობს", ვიდრე დღისით, საწვრთნელ მოედანზე" — თქვა სამუელ ეტოომ.

რონიმ 2007 წლის ზაფხულში, პრიმერას დაწყების წინ, ინტერვიუებში რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ამ სეზონში საქმეს გამოასწორებდა. რას გულისხმობდა ბრაზილიელი საქმის გამოსწორებაში? იმას, რომ წლეულს ძირითადად სათადარიგოებში იჯდა და „რეალთან" „ელ კლასიკოში" საკუთარი გულშემატკივრისგან სტვენა-გინება დაიმსახურა?

სატრანსფერო ბაზარზე რონალდინიოს ღირებულება 14 მილიონი ევროთი ამიტომაც დაეცა. ადრე ბრაზილიელის ფასი 80 მილიონი ევრო იყო, ახლა კი 66 მილიონია.

ესპანური და ინგლისური გაზეთების ვარაუდით, „კიჭა" იანვრიდან „ჩელსის" ფორმას მოირგებს, თუმცა არც „მილანის" ვარიანტია გამორიცხული...

**ლადო ხომერიკი**

# ყვითელი რეკორდი

**მანუელ პელეგრინის** „ვილიარეალი" ამ სეზონში ძალიან ყოჩაღადაა და 2007-იც „ყვითლებისთვის" ოქროს წლად უნდა ჩაითვალოს. „ვილია" 2008 წელს პრიმერადივიზიონის ცხრილში მეოთხე ადგილზე ხვდება და ესპანელთა უმაღლეს ლიგაში თავის ხანმოკლე გამოსვლის რეკორდსაც ხსნის.



„ყვითლებს" საზამთროდ მეოთხე ადგილი 2005-შიც მოუნაგრებიათ, მაგრამ მაშინ საშობაო არდადეგებს 30 ქულით შეხვდნენ, დღეს კი მათი მარაგი 17 ტურში 32 ქულაა. შარშან ამ დროს „ვილიარეალი" მე-11 ადგილზე იყო და პირველ 16 ტურში 22 ქულას დახვდა.

ერთადერთი, რამაც პელეგრინის ბანაკი შეიძლება შეაშფოთოს, შინაურ „ელ მადრიგალზე" ავბედობაა. „ვილიარეალმა" მშობლიურ არენაზე ბოლოს „სევილიასთან" 11 ნოემბერს მოიგო (3:2). მას შემდეგ „ალმერიასა" და „უელვასთან" ფრე ითამაშა (ორივე შემთხვევაში 1:1) და „ბეტისთან" 0:1 წააგებ. „ელ მადრიგალზე" მომდევნო მატჩი 13 იანვარს გალისიური „დეპორტივოს" წინააღმდეგ შედგება.

**ლადო ხომერიკი**

# ცხრა ტიტულის კაცი



**ინგლისელ** ფანებს აფრთხილებენ: ფაბიო კაპელოსგან სასწაულს ნუ ელით, თორემ შესაძლოა იმედგაცრუებულნი დარჩეთ! ნუ დაგავიწყდებათ, მართალია, იტალიელი მწვრთნელი უამრავი ჯილდოს მფლობელია, მაგრამ იმას, რასაც ახლა შეეჭიდა, „მსოფლიოს ურთულესი საქმე" ჰქვია.

და რაც ყველაზე საინტერესოა, თანამემამულეებს ასე, არც მეტი არც ნაკლები, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფი ბრაიან ბორვიკი და ფეხბურთის განვითარების დირექტორი ტრევორ ბრუკინგი მოძღვრავენ.

61 წლის კაპელოს ბორვიკმა, რომელსაც ასოციაციისგან უშუალოდ ჰქონდა დავალებული სტივენ მაკლარენის შემცვლელის პოვნა, „დიდი ტრიუმფატორი" უწოდა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ მისი მოყვანით ინგლისის ეროვნული გუნდის ისტორიაში ტრიუმფალიზმის კი არა, რეალიზმის ეპოქა იწყება.

მან თქვა: „ფაბიო კაპელომ კარგად იცის, რომ წინ უსერიოზულესი სამუშაო ელის. მან ჩაიბარა გუნდი, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ უტაპზე ვერ გავიდა".

„თავს ერთი წუთითაც არ ვიტყუებთ აზრით, თითქოს მხოლოდ იმიტომ, რომ მწვრთნელად ფაბიო მოვიყვანეთ, ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდება. აგერ უკვე 40 წელიწადია, არაფერი მოგვიგია, ამიტომ ზედიზედ ორ დიდ შეჯიბრებაში გამარჯვებას არ ველით. ყველაფერი ვარდისფრად ნამდვილად არ გვეჩვენება, მაგრამ ყველა ღონეს ვიხმართ, რომ ჩვენს განკარგულებაში მყოფ მოთამაშეთა ჯგუფს მაქსიმუმი გავაკეთებინოთ" — დასძინა ბრუკინგმა.

ბორვიკმა კი დააზუსტა, რომ კაპელოს, უპირველეს ყოვლისა, ინგლისელ ფეხბურთელებთან მენტალურ საკითხებზე ექნება სამუშაო:

„მან უნდა ამოხსნას, რა ხდება, როდესაც ჩვენი ფეხბურთელები მოედანზე ფეხს დგამენ. მისი მოვალეობაა მოთამაშეებს საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნოს, ამასთან ერთად კი, ბუნებრივია, უნდა იმუშაოს მათი შესაძლებლობების გაძლიერებასა და ტაქტიკურ საკითხებზე. ხალხს თავისი ქვეყნის გამარჯვება სურს და ეს ძლიერი ფსიქოლოგიური სტიმული მათ ნაკრებში აერთიანებს. ერთი სიტყვით, სწრაფ შედეგს არ ველით. ჩვენ მოვიყვანეთ კაცი, რომელიც ვითარების შეცვლაშია ძლიერი".

შემდეგ ბორვიკმა განმარტა, რომ კაპელოსა და ინგლისის ეროვნულ გუნდს ხალხის იმედების გამართლება მართებთ. ქომაგები ნაკრების თამაშების სანახავად დიდძალ ფულს იხდიან, „უემბლის" სტადიონს პირთამდე ავსებენ და ისე მხურვალედ უჭერენ თავიანთ გუნდს მხარს, რომ მათი ღალატი არაფრით შეიძლება.

კარიერის განმავლობაში 9 სხვადასხვა ტიტულის მომხვეჭი კაპელო ახლა განსხვავებული ამოცანის წინაშე დგას და მან ეს თავადაც კარგად იცის. მისი ხელმძღვანელობით პირველი თამაში ინგლისის ნაკრებს 6 თებერვალს ელის — „უემბლიზე" ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად შვეიცარიის ნაკრები ჩადის.

ბუნებრივია, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია სხვა სპარინგ-პარტნიორებსაც ეძებს.

ბორვიკი: „როდესაც ახალი მწვრთნელის მოძებნა დამავალეს, ერთ ფურცელზე ჩამოვწერე ის თვისებები, რომლებითაც ინგლისის ნაკრების თავკაცი უნდა იყოს დაჯილდოებული, მეორეზე კი ინგლისელი სპეციალისტები და მათი მახასიათებლები. ასე გაირკვა, რომ ინგლისელები ყველა მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდნენ. დახედეთ სტატისტიკას: ერთი ხანია საკუთრივ პრემიერლიგის წამყვანი გუნდები ადგილობრივ მწვრთნელებს არ ქირაობენ. დიახ, ჩვენ ძალიან გვინდოდა ინგლისის ნაკრებისთვის სათავეში ინგლისელი ჩაგვეყენებინა, მაგრამ რეალიზმის გრძნობამ სხვა მიმართულებით წაგვიყვანა".

და კიდევ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია: სვენ-გორან ერიკსონისა და სტივ მაკლარენის დროს ეროვნულ გუნდში იყვნენ ფავორიტი ფეხბურთელები, ისინი, ვინც ყველა შემთხვევაში გადიოდა მოედანზე. კაპელოს ასეთები არ ეყოლება... წესით და რიგით, არ უნდა ჰყავდეს.

„როდესაც ახალი მწვრთნელის შესაძლო ვარიანტებს ვამუშავებდი, ყურში ყოველი მხრიდან ფაბიოს სახელი ჩამესმოდა. დახედეთ მის გამოცდილებას. კაპელოს ძალიან დიდი, თანაც ევროპული ვარსკვლავებისთვის მოუვლია. ის ცხრა ტიტულის მფლობელია. ყველაფერი, რასაც მასზე წერენ და ამბობენ, იმის მანიშნებელია, რომ ინგლისის ნაკრებმა სწორი არჩევანი გააკეთა" — დასძინა ბორვიკმა.

**ბაჩუნა ძიძია**

# ეს უცნაური კინო

**როი კინს** „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში პრემიერლიგის ტიტული შვიდჯერ, ფეხბურთის ასოციაციის თასი კი ოთხჯერ აქვს მოგებული, მაგრამ რად გინდა... ერთი მათგანიც არ ახსოვს. დიახ, 1990-იანი წლების დიდებული „იუნაიტედის" ერთ-ერთ საკვანძო ფიგურას წარმოდგენაც არ აქვს, რომელ წელიწადს რა მოიგო და როგორ. აბა, რა ახსოვს ირლანდიელ ვარსკვლავს? მხოლოდ წაგებები, და სწორედ ამ „მწარე" მეხსიერების წყალობითაა, „სანდერლენდი" მის ხელში რამეს თუ აღწევს.

„გამარჯვებების ტყვეობაში არასოდეს ვრჩებოდი, მათზე ფიქრისგან ყოველთვის მალე ვთავისუფლდებოდი, მაგრამ, სამაგიეროდ დამარცხების მწარე გემო დიდხანს მრჩებოდა ხოლმე პირში — თქვა კინომ თავის ყოფილ გუნდთან, „მანჩესტერ იუნაიტედთან" გუშინდელი თამაშის წინ — მართლაც, ხშირად ვკითხულობ და ვისმენ, როგორ ყვებიან ფეხბურთელები თავიანთი დიდების ამბებს. იგონებენ, თუ როგორ გაიმარჯვეს ამა თუ იმ შეხვედრაში და ასე შემდეგ, მე კი მსგავსი არაფერი მახსენდება. თუ რამე მახსოვს, ეს ფინალში დამარცხების ან რომელიმე შეჯიბრებიდან გავარდნის თარიღია. ვიცი, როდის და როგორ გავუშვი ჩემპიონობა ხელიდან. ძალიან კარგად მახსოვს, როდის წავაგე თასზე „ლაიდთან" და „ლუტონთან". ერთი სიტყვით, მე სტიმულს მხოლოდ წაგება მაძლევდა, გამარჯვებაზე ფიქრი კი საერთოდ არაფრის მომცემი გახლდათ.

დამარცხებათა ტკივილი ჩემი შორეული ბავშვობიდან იღებს სათავეს. მართალი გითხრათ, ბავშვობაშიც უამრავ შეჯიბრებაში ვიმარჯვებდი, მაგრამ მაშინდელიც მხოლოდ წაგებები შემორჩა გონებას. მაგალითად, გუშინდელივით მახსოვს, როგორ წავაგეთ „ბელვედერთან" 2:3. იმ თამაშს 2:0-ს ვიგებდით და... 2:3 წავაგეთ. თან, სამივე გოლი, მე რომ ვმეურვეობდი, იმ კაცმა გაგვიტანა. რა დამავიწყებს იმ ბიჭს, ჰეთ-თრიკის ავტორს? მარცხენა მცველი იყო, კენ ჯილარდი ერქვა, ბოლოს „ლუტონში" გამოდიოდა. მაშინ 11 თუ 12 წლისა გახლდით და ჩემი არსებობის შესახებ არავინ იცოდა. ეს ის დროა, ქუჩაში „კოკა კოლას" და ერთ „მარსს" რომ ვიყიდდი და მიხაროდა.

ამასწინათ, სახლში რამდენიმე ძველი მედალი ვიპოვნე. ეს ჩემპიონის მედლები არ იყო, მე მათ „დამარცხებულის მედლებს" დავარქმევდი, ოქროს მედლები კი... რა ვიცი, სადღაც ყუთში ერთად მიყრია.

ვიცი, გარი ნევილი მოგებულ ტიტულებზე ლაპარაკობს ხოლმე. გარი ძალიან კარგი ბიჭია, მაგრამ ვუსმენ და ჩემს თავს ვიჭერ, რომ ის წარმატებები არ მახსოვს.

ვინ იცის, ამის გამო ჩემს თანაგუნდელებს მაშინვე საცოდავ კაცად მივაჩნდი და, ალბათ, ახლაც ასევე ფიქრობენ, მაგრამ ის ორი თუ სამი ადამიანი, რომლებთანაც ურთიერთობა დღემდე არ გამიწყვეტია, დაადასტურებს, რომ მე ნაცვლად წაგების მოძულე ვიყავი და ჩემი მთავარი თვისება სწორედ ეს გახლდათ.



ასეა, მე სპორტულ ოჯახში გაზრდილი კაცი ვარ და თან, რაც მთავარია, კორკიდან გახლავარ, კორკი კი ირლანდიის მოჯანყე რაიონია. იქ უამრავი ისტორიული ამბავი მომხდარა, მათ შორის სპორტთან დაკავშირებულიც. ჩვენთან კრივია ძალიან პოპულარული, წაგებას კი ვერავინ ეგუება".

რაც შეეხება მწვრთნელობისა და ფეხბურთელობის შედარებას, როი კინს აქაც თავისი მკაფიო შეხედულება აქვს: ფეხბურთელი გაცილებით ნაკლებად განიცდის წაგებას, ვიდრე მწვრთნელი.

„ვფიქრობ, ფეხბურთელი მწვრთნელზე ახჯერ ნაკლებად განიცდის — ამბობს „იუნაიტედის" ძველი კაპიტანი — ფეხბურთელობისას, თითოეული წაგების სიმძიმე ჩემს თანაგუნდელებსა და ხელმძღვანელებზე იყოფოდა, მწვრთნელობისას კი ყველაფერი შენს კისერზეა.

ფერგიუსონს? არა, მას ხშირად ნამდვილად არ ველაპარაკები. ან კი, რომ დავურეკო, რაზე უნდა ველაპარაკო? მწვრთნელებს სალაპარაკოდ არასდროს სცალიათ. არც იმ ხალხს ვურეკავ, ირლანდიის ნაკრებში რომ იყვნენ ჩემი თავკაცები. მიკ მაკარტისა და ბრაიან კერს ვგულისხმობ. ლვინო თუ გადაკეიკრავს მას მერე, რაც ფეხბურთის თამაშს თავი დავანებე? არა, იმიტომ რომ არ ვსვამ".

**ბაჩუნა ძიძია**

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XIX ტური

**ფოლკირკი 1:0 ინვერნესი**

1:0 აარფიესი (35)

**გრეტნა 1:1 აბერდინი**

0:1 ლოველი (86), 1:1 ჯენკინსი (90)

**ჰართსი 0:1 სტ. მირენი**

0:1 მაკჯინი (17)

**კილმარნოკი 2:1 ჰიბერნიანი**

1:0 ნიში (36), 2:0 ტაული (75), 2:1 შილსი (90З)

**რეინჯერსი 3:1 მოზერუელი**

1:0 კუზენი (42), 1:1 ქუინი (65), 2:1 პორტერი (70ს.კ.), 3:1 ბოიდი (90)

**დანდი იუნ. 0:2 სელტიკი**

0:1 ოდ მქსელინკი (68), 0:2 მაკმანუსი (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 19 | 12 | 4 | 3 | 48:17 | 40 |
| რეინჯერსი | 17 | 12 | 2 | 3 | 41:15 | 38 |
| მოზერუელი | 19 | 10 | 2 | 7 | 25:22 | 32 |
| დანდი იუნ. | 19 | 9 | 2 | 8 | 25:22 | 29 |
| ჰიბერნიანი | 19 | 7 | 7 | 5 | 27:24 | 28 |
| აბერდინი | 19 | 7 | 5 | 7 | 26:29 | 26 |
| ფოლკირკი | 19 | 7 | 4 | 8 | 31:34 | 25 |
| ინვერნესი | 19 | 8 | 1 | 10 | 25:33 | 25 |
| კილმარნოკი | 19 | 5 | 6 | 8 | 21:27 | 21 |
| ჰართსი | 19 | 5 | 5 | 9 | 29:33 | 20 |
| სენტ მირენი | 18 | 5 | 4 | 9 | 11:29 | 19 |
| გრეტნა | 18 | 2 | 4 | 12 | 16:40 | 10 |

### I დივიზიონი

XVIII ტური

ჰამილტონი — კლაიდი 0:0; მორტონი — დანფერმლაინი 0:1; ქუინი — დანდი 2:1; სტირლინგი — სტ. ჯონსტონი 0:0

### II დივიზიონი

XVIII ტური

ეირდრი — ალოა 2:0; ბერუიკი — რეითი 2:1; პიტერჰედი — ბრეჩინი 1:2; ქუინზ პარკი — ეირი 1:1; როსი — კოუდენბითი შეწყდა

### III დივიზიონი

გადადებული მატჩები

ისტ ფაიფი — არბროთი 0:2; სტრანრარი — ალბიონი 3:1

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XVII ტური

**ფეიენოორდი 2:0 სპარტა**

1:0, 2:0 მაკაი (4, 74)

**ნაიმეგენი 2:2 ვენლო**

1:0, 2:0 იანსენი (12, 55), 2:1 კანტელბერგი (70), 2:2 კალაბრო (83)

**გრონინგენი 2:1 პსვ**

1:0 ალსიდესი (21), 1:1 ლინდგრენი (61), 2:1 ბერგი (77)

**გრააფსხაპი — ალკმაარი** გადაიდო

ტურის დანარჩენი მატჩები დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 16 | 11 | 2 | 3 | 33:12 | 35 |
| პსვ | 16 | 10 | 3 | 3 | 37:14 | 33 |
| აიაქსი | 15 | 9 | 4 | 2 | 42:21 | 31 |
| გრონინგენი | 17 | 9 | 3 | 5 | 25:27 | 30 |
| ჰერენვენი | 16 | 9 | 2 | 5 | 41:23 | 29 |
| ტვენტე | 16 | 7 | 7 | 2 | 24:12 | 28 |
| როდა | 16 | 7 | 5 | 4 | 32:26 | [illegible] |
| ბრედა | 15 | 7 | 4 | 4 | 21:21 | 25 |
| უტრეხტი | 16 | 7 | 3 | 6 | 33:28 | 24 |
| ალკმაარი | 15 | 6 | 4 | 5 | 28:18 | 22 |
| გრააფსხაპი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:24 | 22 |
| ვიტესი | 16 | 6 | 3 | 7 | 19:21 | 21 |
| ვენლო | 17 | 4 | 4 | 9 | 21:36 | 16 |
| ნაიმეგენი | 17 | 3 | 4 | 10 | 15:28 | 13 |
| სპარტა | 16 | 2 | 6 | 8 | 21:39 | 12 |
| ექსელსიორი | 16 | 3 | 3 | 10 | 18:42 | 12 |
| ჰერაკლესი | 16 | 2 | 4 | 10 | 12:40 | 10 |
| ტილბურგი | 16 | 2 | 3 | 11 | 15:26 | 9 |

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი | | | | | | |
| | | პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 27 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 37 | სიტი-ბლექბერნი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| | | 29 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 43 | უიგანი-ასტონ ვილა | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 44 | ბირმინგემი-ფულემი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 19:00 | 45 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.30 | 4.40 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.95 |
| 21:15 | 47 | ევერტონი-არსენალი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 19:00 | 49 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 19:00 | 50 | სანდერლენდი-ბოლტონი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 19:00 | 51 | ტოტენჰემი-რედინგი | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| 19:00 | 52 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 5.50 | 3.50 | 1.60 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| | | 30 დეკემბერი | | | | | | |
| 17:30 | 46 | დერბი-ბლექბერნი | 3.70 | 3.30 | 1.90 | 1.74 | 1.25 | 1.20 |
| 20:00 | 48 | სიტი-ლივერპული | 3.40 | 3.20 | 2.05 | 1.64 | 1.27 | 1.24 |
| | | ინგლისი | | | | | | |
| | | ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 29 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 85 | პრესტონი-კარდიფი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 16:45 | 86 | შეფილდი-კრისტალ პალასი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 19:00 | 87 | უოტფორდი-ქპრ | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 19:00 | 88 | ბარნსლი-საუთჰემპტონი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 89 | ვესტ ბრომვიჩი-სკანთორპი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 19:00 | 90 | ბარნლი-ბრისტოლი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 91 | კოლჩესტერი-ბლეკპული | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 21:20 | 92 | ქოვენთრი-იფსვიჩი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 94 | ლესტერი-ჩარლტონი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 19:00 | 95 | ნორვიჩი-ვულვერჰემპტონი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 19:00 | 96 | პლიმუთი-სტოკი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| | | 30 დეკემბერი | | | | | | |
| 17:00 | 93 | ჰალი-უენსდი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| | | ინგლისი | | | | | | |
| | | I ლიგა | | | | | | |
| | | 29 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 136 | ბორნმუთი-სუინდონი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 19:00 | 138 | როვერსი-კარლაილი | 2.65 | 3.20 | 2.50 | 1.44 | 1.28 | 1.40 |
| 19:00 | 139 | დონკასტერი-საუთენდი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 19:00 | 140 | ჯილინგემი-ნოტინგემი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 19:00 | 141 | ჰარტლპული-ლეიტონი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 142 | ჰადერსფილდი-ნორთჰემპტონი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 19:00 | 143 | მილუოლი-ქრიუ | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 19:00 | 144 | ოლდემი-უოლსოლი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| | | ინგლისი | | | | | | |
| | | II ლიგა | | | | | | |
| | | 29 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 193 | მორკომბი-პიტერბრო | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 194 | ნოტსი-როტერჰემი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 19:00 | 195 | შრიუსბერი-უიკომბი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 196 | ბარნეტი-ჩესტერფილდი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 19:00 | 197 | რექსემი-სტოკპორტი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 19:00 | 198 | ბრედფორდი-ჰერეფორდი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 19:00 | 199 | ბრენტფორდი-ჩესტერი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 19:00 | 200 | ბერი-დაგ ენდ რედი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 19:00 | 201 | დარლინგტონი-დონსი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 202 | გრიმსბი-ლინკოლნი | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| 19:00 | 203 | მაკლსფილდი-როჩდეილი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 19:00 | 204 | მენსფილდი-აკრინგტონი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| | | ინგლისი | | | | | | |
| | | კონფერენსი | | | | | | |
| | | 29 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 253 | სტეფორდი-ებსფლითი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 19:00 | 254 | სალისბერი-ჰალიფაქსი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 255 | იორკი-ვეიმუთი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 19:00 | 256 | ფარსლი-ქროული | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 19:00 | 257 | ექსეტერი-ჰისტონი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 19:00 | 258 | ოქსფორდი-კიდერმინსტერი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 259 | კემბრიჯი-ბარტონი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 19:00 | 260 | რაშდენი -ნორთვიჩი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 19:00 | 261 | ფორესტ გრინი-დროილსდენი | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |
| 19:00 | 262 | უოკინგი-ტორკი | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 19:00 | 263 | ალტრინჰემი-სტივენეიჯი | 3.65 | 3.30 | 1.90 | 1.73 | 1.24 | 1.20 |
| 19:00 | 264 | გრეისი-ალდერშოტი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | ჰოლანდია | | | | | | |
| | | I დივიზიონი | | | | | | |
| | | 27 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 504 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 23:00 | 505 | ბრედა-ვიტესი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 23:00 | 506 | აიაქსი-ტვენტე | 1.50 | 3.80 | 6.00 | 1.07 | 1.20 | 2.32 |
| 23:00 | 507 | აიაქსი-ტვენტე 0:1 | 2.30 | 3.40 | 2.30 | | | |
| 23:30 | 508 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 23:00 | 509 | როდა-ჰერენვენი | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 29 დეკემბერი | | | | | | |
| 18:45 | 5 | ერგოტელისი-ლარისა | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 21:00 | 6 | ოლიმპიაკოსი-ქსანთი | 1.15 | 6.10 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.04 |
| | | 30 დეკემბერი | | | | | | |
| 17:00 | 7 | ატრომიტოხი-ვერია | 1.65 | 3.00 | 5.10 | 1.06 | 1.24 | 1.88 |
| 17:00 | 8 | ლევადიაკოსი-ასტერას ტრიპოლისი | 2.50 | 2.80 | 2.60 | 1.32 | 1.27 | 1.34 |
| 18:45 | 9 | კალამარია-ირაკლისი | 2.70 | 2.90 | 2.40 | 1.39 | 1.27 | 1.31 |
| 18:45 | 10 | პანიონიოსი-ოფი | 1.60 | 3.00 | 5.20 | 1.04 | 1.22 | 1.90 |
| 21:00 | 11 | აეკ-პაოკ | 1.30 | 3.70 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.47 |
| 21:00 | 12 | არისი-პანათინაიკოსი | 2.70 | 2.75 | 2.50 | 1.36 | 1.29 | 1.30 |

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჰოკეი | | | | | | |
| | | შვედეთი | | | | | | |
| | | 28 დეკემბერი | | | | | | |
| 21:00 | 656 | მოდო-ლულეო | 1.65 | 4.10 | 3.00 | 1.17 | 1.06 | 1.73 |
| 21:00 | 657 | სიოდერტელიე-ტიმრე | 2.20 | 4.00 | 2.10 | 1.41 | 1.07 | 1.37 |
| 21:00 | 658 | ლინჩიოპინგი-ფერიესტადი | 1.90 | 4.00 | 2.40 | 1.28 | 1.06 | 1.50 |
| 21:00 | 659 | მორა-აიკ | 1.80 | 4.20 | 2.50 | 1.25 | 1.04 | 1.56 |
| 21:00 | 660 | ფრიოლუნდა-ბრიუნესი | 1.50 | 4.20 | 3.60 | 1.10 | 1.05 | 1.93 |
| 21:00 | 661 | ჰვ 71-იურგორდენი | 1.45 | 4.20 | 3.90 | 1.07 | 1.05 | 2.02 |
| | | ჰოკეი | | | | | | |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 27 დეკემბერი | | | | | | |
| 20:30 | 694 | ჰელსინკი-კალპა | 1.35 | 4.50 | 4.70 | 1.03 | 1.04 | 2.29 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 695 | კერპეტი-ტაპარა | 1.50 | 4.20 | 3.60 | 1.10 | 1.05 | 1.93 |
| 20:30 | 696 | ლუკო-ესპოო | 2.20 | 4.00 | 2.00 | [illegible] | 1.04 | [illegible] |
| 20:30 | 697 | პელიკანსი-ჰაამეენლინა | 1.30 | 4.40 | 4.70 | 1.00 | 1.01 | 2.27 |
| 20:30 | 698 | სეიპა-იუვესკიულე | 2.30 | 4.00 | 2.00 | 1.46 | 1.06 | 1.33 |
| 20:30 | 699 | ტურკუ-ესეტი | 1.35 | 4.30 | 4.40 | 1.02 | 1.03 | 2.17 |
| | | ჰოკეი | | | | | | |
| | | სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 28 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 794 | ჟილინა-პოპრადი | 2.30 | 4.00 | 2.00 | 1.46 | 1.06 | 1.33 |
| 20:00 | 795 | მიკულაში-ზვოლენი | 2.60 | 4.10 | 1.80 | 1.59 | 1.06 | 1.25 |
| 20:00 | 796 | სკალიცა-ტრენჩინი | 2.20 | 4.00 | 2.10 | 1.41 | 1.07 | 1.37 |
| 20:00 | 797 | კემაროკი-კოშიცე | 2.50 | 4.10 | 1.90 | 1.55 | 1.07 | 1.29 |
| 20:00 | 798 | ნიტრა-მარტინი | 2.50 | 4.10 | 1.80 | 1.55 | 1.04 | 1.25 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10005 | ერგოტელისი-ლარისა | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10007 | ატრომიტოხი-ვეროია | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10008 | ლევადეიაკოსი-ასტერას ტრიპოლისი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10009 | კალამარია-ირაკლისი | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10010 | პანიონიოსი-ოფი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10011 | აეკ-პაოკ | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10012 | არისი-პანათინაიკოსი | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10037 | სიტი-ბლექბერნი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10504 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10505 | ბრედა-ვიტესი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10506 | აიაქსი-ტვენტე | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10508 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10509 | როდა-ჰერენვენი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11005 | ერგოტელისი-ლარისა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11007 | ატრომიტოხი-ვეროია | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11008 | ლევადეიაკოსი-ასტერას ტრიპოლისი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11009 | კალამარია-ირაკლისი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11010 | პანიონიოსი-ოფი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11011 | აეკ-პაოკ | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11012 | არისი-პანათინაიკოსი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11037 | სიტი-ბლექბერნი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11504 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11505 | ბრედა-ვიტესი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11506 | აიაქსი-ტვენტე | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11508 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11509 | როდა-ჰერენვენი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12005 | ერგოტელისი-ლარისა | 1.50 | 2.10 |
| 12007 | ატრომიტოხი-ვეროია | 1.50 | 2.10 |
| 12008 | ლევადეიაკოსი-ასტერას ტრიპოლისი | 1.50 | 2.10 |
| 12009 | კალამარია-ირაკლისი | 1.50 | 2.10 |
| 12010 | პანიონიოსი-ოფი | 1.60 | 1.90 |
| 12011 | აეკ-პაოკ | 1.80 | 1.80 |
| 12012 | არისი-პანათინაიკოსი | 1.50 | 2.10 |
| 12037 | სიტი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12504 | უტრეხტი-ექსელსიორი | 2.30 | 1.40 |
| 12505 | ბრედა-ვიტესი | 2.00 | 1.60 |
| 12506 | აიაქსი-ტვენტე | 2.10 | 1.50 |
| 12508 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 1.80 | 1.70 |
| 12509 | როდა-ჰერენვენი | 2.10 | 1.50 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13005 | ერგოტელისი-ლარისა | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ატრომიტოხი-ვეროია | 1.90 | 1.70 |
| 13008 | ლევადეიაკოსი-ასტერას ტრიპოლისი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | კალამარია-ირაკლისი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | პანიონიოსი-ოფი | 1.90 | 1.70 |
| 13011 | აეკ-პაოკ | 1.90 | 1.70 |
| 13012 | არისი-პანათინაიკოსი | 1.70 | 1.90 |
| 13037 | სიტი-ბლექბერნი | 1.70 | 1.80 |
| 13504 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1.90 | 1.70 |
| 13505 | ბრედა-ვიტესი | 1.60 | 2.00 |
| 13506 | აიაქსი-ტვენტე | 1.70 | 1.90 |
| 13508 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13509 | როდა-ჰერენვენი | 1.50 | 2.10 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14005 | ერგოტელისი-ლარისა | 1.85 | 1.95 |
| 14007 | ატრომიტოხი-ვეროია | 1.45 | 2.40 |
| 14008 | ლევადეიაკოსი-ასტერას ტრიპოლისი | 1.85 | 1.95 |
| 14009 | კალამარია-ირაკლისი | 1.95 | 1.85 |
| 14010 | პანიონიოსი-ოფი | 1.30 | 2.50 |
| 14012 | არისი-პანათინაიკოსი | 1.95 | 1.85 |
| 14037 | სიტი-ბლექბერნი | 1.75 | 2.10 |
| 14504 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1.20 | 2.60 |
| 14505 | ბრედა-ვიტესი | 1.70 | 2.20 |
| 14506 | აიაქსი-ტვენტე | 1.30 | 2.50 |
| 14508 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 1.70 | 2.20 |
| 14509 | როდა-ჰერენვენი | 1.80 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15005 | ერგოტელისი-ლარისა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ატრომიტოხი-ვეროია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ლევადეიაკოსი-ასტერას ტრიპოლისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | კალამარია-ირაკლისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | პანიონიოსი-ოფი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | არისი-პანათინაიკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15037 | სიტი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15504 | უტრეხტი-ექსელსიორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15505 | ბრედა-ვიტესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15506 | აიაქსი-ტვენტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15508 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15509 | როდა-ჰერენვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16005 | ერგოტელისი-ლარისა | 1.80 | 1.85 |
| 16007 | ატრომიტოხი-ვეროია | 1.23 | 3.60 |
| 16008 | ლევადეიაკოსი-ასტერას ტრიპოლისი | 1.80 | 1.85 |
| 16009 | კალამარია-ირაკლისი | 1.80 | 1.80 |
| 16010 | პანიონიოსი-ოფი | 1.22 | 3.40 |
| 16012 | არისი-პანათინაიკოსი | 1.80 | 1.80 |
| 16037 | სიტი-ბლექბერნი | 1.45 | 2.45 |
| 16504 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1.11 | 5.70 |
| 16505 | ბრედა-ვიტესი | 1.38 | 2.65 |
| 16506 | აიაქსი-ტვენტე | 1.14 | 4.70 |
| 16508 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 1.40 | 2.55 |
| 16509 | როდა-ჰერენვენი | 1.65 | 2.05 |

### გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17005 | ერგოტელისი-ლარისა | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ატრომიტოხი-ვეროია | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ლევადეიაკოსი-ასტერას ტრიპოლისი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | კალამარია-ირაკლისი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | პანიონიოსი-ოფი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | აეკ-პაოკ | 1.85 | 1.95 |
| 17012 | არისი-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17037 | სიტი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17504 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1.85 | 1.95 |
| 17505 | ბრედა-ვიტესი | 1.85 | 1.95 |
| 17506 | აიაქსი-ტვენტე | 1.85 | 1.95 |
| 17508 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17509 | როდა-ჰერენვენი | 1.85 | 1.95 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# პორტლენდის ტელესერიალი ვინ არის ზინამი?

25 დეკემბერი

**პორტლენდი 89:79 სიეტლი**

პორტლენდი: ჯეკი (17), როი (17)
სიეტლი: დიურანტი (23), შერბიაკი (19)

**ლეიკერსი 122:115 ფინიქსი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (38), ბინამი (28 ქულა, 12 მოხსნა)
ფინიქსი: ნეში (24 ქულა, 14 პასი), სტუდემაიერი (19)

**კლივლენდი 96:82 მაიამი**

კლივლენდი: ჯეიმსი (25 ქულა, 12 პასი), გუდენი (18)
მაიამი: ვეიდი (22 ქულა, 8 პასი), დევისი (15)

არც ბრენდონ როია მაიკლ ჯორდანი და არც ჯარეტ ჯეკი კობი ბრაიანტი, თუმცა ამ რიგით მოთამაშეებსა და მათ თანაგუნდელებს დიდი პატივი ხვდათ წილად. შობა საღამოს ამერიკის ნაციონალური ტელევიზიით მხოლოდ გამორჩეულ მატჩებს აჩვენებენ გამორჩეული მოთამაშეების მონაწილეობით. ამჯერად ეს პატივი „პორტლენდისა“ და „სიეტლის“ ჯახს ხვდა წილად და ვერავინ იტყვის, ეს შეხვედრა ამას არ იმსახურებდაო.

„ბავშვი რომ ვიყავი, მახსოვს, შობის ღამეს მაიკლ ჯორდანის თამაშებს აჩვენებდნენ ხოლმე — ამბობდა „პორტლენდის“ ალფრთოვანებული ცენტრი ჯოელ პრჟიბილა — ასეთი რამ ჩვეულებრივ მოკვდავ კალათბურთელების კარიერაში ერთხელ ხდება და ისიც ზოგჯერ არა. მე არ ვიცი, მომეცემა თუ არა კიდევ იმ თამაშში მონაწილეობის შანსი, რომელსაც შობა საღამოს ცენტრალური ტელევიზიით გადასცემენ“.

ვითომდა არაფრით გამორჩეული მატჩი იყო, ერთმანეთს რიგითი, უფრო სწორად, სუსტი გუნდები ხვდებოდნენ, თუმც თავის დროზე სეზონის კალენდარი რომ დგებოდა, ეს მატჩი სულ სხვა მიზნით ჩასვეს შობის სატელევიზიო პროგრამაში. მოგეხსენებათ, ამ გუნდებმა დრაფტის პირველ-მეორე ნომრები გაინაწილეს, ნბა-სა და მედიის მამებმა კი გადაწყვიტეს, გრეგ ოდენისა და კევინ დურანტის ჯახის ხილვით ფართო მასებისთვის მიენიჭებინათ სიამოვნება, მაგრამ... ოდენს ტრავმა აქვს და მთავარი ინტრიგა ჩაიფუშა, თუმცა ამერიკამ მაინც არანაკლები ინტერესით უყურა ამ მატჩს, რაკი ოდენმოსაკლისებული „პორტლენდი“ სასწაულებს სჩადის — ამ გუნდს წაგების სიმწარე 3 დეკემბრის შემდეგ არ განუცდია და „სიეტლის“ დამარცხებით წარმატებული სერია 11 მატჩამდე გაზარდა.

ნამატჩევს „პორტლენდის“ გახარებული მფლობელი პოლ ალენი ტელეკამერებთან იწონებდა თავს და ნიშნად იმისა, რომ მისმა გუნდმა მიჯრით 11 გამარჯვება მოიპოვა, ორივე ხელის საჩვენებელი თითი აეკაკვა — აი, ამდენჯერ მაგარი ბიჭები ვართო. ბარემ „პორტლენდის“ უგრძელესი წარმატებული სერიაც გავიხსენოთ, რომელიც ამ გუნდმა 1990-91 წლების სეზონში 16 გამარჯვებისგან გამოჭედა.

ბრენდონ როი და ჯარეტ ჯეკი შემთხვევით არ გვიხსენებია. ამ მოთამაშეების ყოჩაღმა გარჯამ მოაგებინა პორტლენდელებს. თუკი როი „ბლეიზერსის“ აღიარებული ლიდერია, ჯეკის გამონათება ყველასთვის მოულოდნელი იყო. ძირითადი გამთამაშებლის, სტივ ბლეიკის შემცვლელმა რიგითმა ჯეკმა თანაგუნდელთაგან მოედანზე ყველაზე მეტი ხანი დაჰყო და თავისიანებს კიდევ ერთი ლიდერის, ლამარკუს ოლდრიჯის ჩაფლავება არ აგრძნობინა. ოლდრიჯმა თამაშიდან ნასროლი 10 ბურთიდან მხოლოდ 1 ჩააგდო, რასაც 2 აცილებული საჯარიმოც მიაყოლა და მოედანი 2 ქულით დატოვა.



ჯეკი კი, პირიქით, ზუსტი სროლისა და პასების იშტაზე იყო — 17 ქულა და 4 პასი ისე მოინაგრა, ბურთი არ დაუკარგავს, რითაც მატჩის საუკეთესო მოთამაშის ტიტულიც დაიმსახურა.

თამაშს აზრიც ჯეკის შორეულმა სროლამ დაუკარგა: საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე მან ლამის წაქცეულმა ჩააგდო სამქულიანი, „პორტლენდი“ 89:75 გაალიდერა და „სიეტლს“ წარმატების მბჟუტავი ნაპერწკალიც საბოლოოდ ჩაუკლა.

არანაკლებ იშტაზეა „ლეიკერსი“, რომელმაც 11-დან 11 არა, მაგრამ 9 გამარჯვება კი მოიპოვა. კობი ბრაიანტს სეზონის წინ იმიტომ უნდოდა ლოს ანჯელესიდან წასვლა, რომ ამ ქალაქში ტიტულის სუნს ვერ გრძნობდა. თუმცა ახლა სხვა აზრზეა — მისმა და მისი კარგი თამაშით გაყოჩაღებულმა „ლეიკერსმა“ შობას თვით „ფინიქსი“ დაამარცხა და ალმოსავლეთ კონფერენციის ამ ლიდერთან ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა.

„მე ერთადერთ რამეზე ვფიქრობ და ვოცნებობ. მინდა, ჩემპიონი გავხდე — ალალად აცხადებს კობი ბრაიანტი — ჩვენი გუნდი თვალსა და ხელს შუა ძლიერდება. „ლეიკერსი“ მყარ საფუძველზე დგას და ეს ასე რომ არ იყოს, „ფინიქსისთანა“ მძლავრ გუნდს ვერ დავამარცხებდით“.

ბრაიანტი კია გუნდის ლიდერი, მაგრამ „ლეიკერსის“ აღმასვლაში არანაკლები (ვინძლო, მეტიც) წვლილი ახალგაზრდა ცენტრ ენდრიუ ბინამს მიუძღვის, რომელმაც „ფინიქსთან“ პირადსარეკორდო 28 ქულა მოიმკა და ამას ასევე სარეკორდო 4 პასი მიაყოლა.

„თუკი სეზონის ბოლოს უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელებენ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას კარგი სეზონი ჰქონდა“ — ეს სიტყვები „ლეიკერსის“ მწვრთნელმა ფილ ჯეკსონმა ბრაიანტზე კი არა, ბინამზე თქვა, თუმცა, ცხადია, ხუმრობით.

ბინამი თვით ბრაიანტმაც შეაქო: „მან ზაფხულში ძალიან ბევრი იშრომა, ივარჯიშა და შედეგს ახლა იმკის. ბინამისთვის ჰაერში ლიმიტი არ არსებობს“.

ეს 217-სანტიმეტრიანი გოლიათი ღირსეულ შემცვლელად ჩანს შაკილ ონილისთვის, რომლის „ლეიკერსში“ თამაშის დროს ამ გუნდმა ჩემპიონობა სამჯერ მოიგო. ბინამი ფარქვეშეთის რისხვაა და ბურთს თითქმის არ აცილებს. მან პირწმინდად დაჩაგრა ფინიქსელების ვერგავარსკვლავებული ამარე სტუდემაიერი, რომელთან ორთაბრძოლაშიც 13-დან 11 ბურთი ჩააგდო. ეს რაა, წინა თამაშში ბინამმა სულაც 11-დან ათჯერ იხეირა და დამსახურებულად შედის ნბა-ს უჩუბინეს მოთამაშეთა სამეულში.

„ფინიქსის“ მწვრთნელმა კი სულაც ასეთი რამ თქვა: „ბინამმა მოგვკლა“. სწორედ „ლეიკერსის“ ცენტრის აზვირთებამ გამოუსვა ცელი მანამდე შეუპოვრად მებრძოლ ფინიქსელებს. დაძაბული და ქულა-ქულაში გალეული მატჩის ბოლოს, როცა თამაშის დასრულებამდე 4 წუთი რჩებოდა, ბინამმა მორიგი ორქულიანი ჩააგდო, რასაც მყისიერად 2 ზუსტი საჯარიმოც მიაყოლა და ლოსანჯელესელები 110:100 დააწინაურა. მანამდე ამხელა უპირატესობა ვერც ერთ გუნდს ვერ მოეპოვებინა და „ლეიკერსმაც“ ეს სოლიდური ლიდერობა ხელიდან აღარ გაუშვა.

შობადღის მესამე მატჩი შედარებით წყნარი გამოვიდა. გამოჯანმრთელებული ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდმა“ იოლად დააჩოქა წლეულს ვერაფრით გამორჩეული „მაიამი“ და ცხრილში დათმობილ პოზიციებს ნელ-ნელა იმყარებს.

**ირაკლი პერტაია**

## საქართველოს ჩემპიონატი

X ტური
26-27 დეკემბერი

# ნოემბერი დეკემბერში

## ავია და ვითა ნაკლულნი შეიბმებიან

**დღეს** სუპერლიგის მეორე წრე ნოემბერში ვერგამართული გადადებული მატჩებით დასრულდება. ნოემბრის პოლიტიკური არეულობის გამო ჩაშლილი ტური გუშინ დაიწყო რუსთავში და დღეს სპორტის სასახლეში ამ წლის ბოლო ორი შეხვედრაც ჩათამაშდება, რომელთაგან გამორჩეულ ყურადღებას „ვითასა“ და „ავიამშენის“ დაპირისპირება იმსახურებს. ეს გუნდები სეზონის წინ საჩემპიონოდ იყვნენ მომართულნი, თუმცა საწყის ტურებში არაერთი იმედგაცრუება ნახეს და ცხრილში შეუფერებლად დაბლა დაეშვნენ. ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია ორივესთვის — სატურნირო დაწინაურებას რომ თავი დავანებოთ, გამარჯვება საახალწლო არდადეგებზე ხალისიანად გასვლის საწინდარი იქნება. გუშინ კლუბ „თორმეტ მაგიდაში“ „ვითა“ — „ავიამშენის“ წინასამატჩო პრესკონფერენცია გაიმართა.

მიხეილ კობეშავიძე, „ვითას“ ასისტენტი მწვრთნელი: „არ მინდა, წუწუნივით გამომივიდეს, თუმცა ტრავმებს ვერსად გავექცევით. ლუკა ნოზაძეს და გიორგი მარკოიშვილს სერიოზული ტრავმები აწუხებთ და „ავიამშენთან“ პრინციპულ მატჩში ვერ დაგვეხმარებიან. ბექა წივწივაძეს კუნთი აქვს დაჭიმული, ხოლო გიორგი მარხვაშვილმა მცირე ტრავმის შემდეგ დღეს პირველად ივარჯიშა და ფორმიდანაა ამოვარდნილი. ფაქტობრივად, უკანა ხაზის გარეშე ვართ დარჩენილები, მაგრამ ძალებს არ დავზოგავთ, რათა ახალ წელს მთავარი მეტოქის გამარჯვებით გახარებულები შევხვდეთ“.

ვაჟა მხეიძე, „ავიამშენის“ ასისტენტი მწვრთნელი: „მეტოქის მსგავსად, ჩვენც არ გვყავს ოპტიმალური შემადგენლობა. ტრავმები არ გვაწუხებს, მაგრამ გაციებულები და გრიპიანები არ გვაკლია. 7-8 მოთამაშეა სრულ მზადყოფნაში, დანარჩენებს ამ კვირაში არც უვარჯიშიათ. „ავიამშენი“ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, 9-დან 6 მატჩი წავაგეთ და ამ ჭაობიდან ამოსვლას ყველანაირად ვცდილობთ. საკმაოდ რთული შეხვედრა გველის და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ „ვითას“ დასამარცხებლად. წინა შეხვედრა ჩვენს ხვალინდელ მეტოქეს კი მოვუგეთ, მაგრამ ეს უპირატესობად ვერ ჩაგვეთვლება, „ვითა“ ახლა ორმაგად მოტივირებულია და დიდ ბრძოლასაც გაგვიმართავს.

„ვითა — ავიამშენამდე“ სპორტის სასახლეში თსუ და „მაკაბი ითამაშებენ.

**ირაკლი პერტაია**

## 26 დეკემბერი. რუსთავი

**ენერჯი-ინვესტი 87:74 დინამო**

*20:16 22:26 25:14 20:18*

ენერჯი-ინვესტი: გამყრელიძე (7), ლეჟავა (17), ბოისა (14), ბაბაიაშვილი (10), ტუჯანი (16); გოგობერიშვილი (8), დიდია (8), ჭოჭუა (3), ცეკვავა (2), დვალიშვილი (2), მაჭავარიანი, დანელიანი
დინამო: ქლენტი (8), სიგუა (3), გულისაბედაშვილი (22), მაისურაძე (6), ახალკაცი (21); ლაფანაშვილი (12), ათანელიშვილი (2), ნანიტაშვილი, კუჭავა, წერეთელი
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნერვები, იღბალი და უფლის ნება

**სპორტული თვალსაზრისით, კარს მომდგარი 2008 წელი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, მომავალ წელს ხომ ჩინეთში უდიდესი სპორტული ფორუმი, ოლიმპიადა ჩატარდება. ჩვენს ყურადღებას ის სპორტსმენები იქცევენ, ვინც საპეკინო ლიცენზია უკვე დაისაკუთრა და ისინიც, ვინც სალიცენზიო შანსებს კიდევ ინარჩუნებს. ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე იმ კატეგორიას მიეკუთვნება, პეკინში გამგზავრება რომ დაიბევა. მისი გამოსვლა ქართველი ქომაგის უდიდეს ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა, რადგან ოლიმპიური ჩემპიონი მუდამ მედლის პრეტენდენტად მოიაზრება.**

***ნინო სალუქვაძეს* გუშინ ვესაუბრეთ და განვლილი სეზონის გარდა სამომავლო გეგმებზეც ვკითხეთ**



— წლეულს აქცენტი შიდა პირველობებზე გაკეთდა და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი სულაც გამოვტოვეთ. გვინდოდა, რომ საქართველოს თასზე უცხოელი სპორტსმენებიც მოგვეწვია, მაგრამ ნოემბერში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო აქ ჩამოსვლა ვერავინ მოახერხა, თუმცა, უკვე თბილისის თასზე აზერბაიჯანელებიც იყვნენ. მომავალში ვეცდებით, სხვა ქვეყნის წარმომადგენლები მოვიწვიოთ, ოღონდ ამისთვის საჭიროა, საქარველოში ნორმალური სიტუაციას იყოს, ისე არავინ ჩამოვა.

მოვახერხეთ და ჩამოვიტანეთ ტყვიები, ასევე იარაღი ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის, რაც ადრე ძალიან ცოტა იყო და პრობლემას წარმოადგენდა. მხოლოდ მე ვვარჯიშობდი, ახლა კი პატარებიც დაიტვირთებიან. მოკლედ, ნელ-ნელა ფეხზე ვდგებით. ახალგაზრდებიდან ნიჭიერი თაობა ნამდვილად მოდის, მაგრამ ახლა ვერ დავასახელებ, თორემ მერე ეს მათზე ცუდად მოქმედებს. ხომ იცით, ქართული მენტალიტეტი...

— მთლიანობაში, რამდენად კმაყოფილი ხართ განვლილი წლით?

— ლიცენზია მოვიპოვე, მაგრამ ევროპის ჩემპიონატმა გული დამწყვიტა. კარგ ფორმაში ვიყავი და მეტს ველოდი, თუმცა არ გამიმართლა. სხვათაგან ნინო უჩაძეს აქვს ლიცენზიის შანსი და ვნახოთ, რა იქნება. მომავალ წელს სამი სალიცენზიო ტურნირი იქნება. ჩვენ უკვე ოქტომბერში გვქონდა სამოქმედო გეგმა შემუშავებული, თუმცა ჯერ გარკვეული არაფერია. ამიტომ არ ვიცით, რა როგორ იქნება. ისე, იანვარში მიუნხენის საერთაშორისო ტურნირი გველის, ამას თებერვალში შეკრება უნდა მოჰყვეს, ევროპირველობის წინ და მერეც მილანის ტურნირი და ასევე პეკინის მსოფლიო თასია. ზაფხულში კიდევ ორი შეკრების მოწყობა გვინდა. ამ ტურნირებზე ის წავა, ვინც შიდა პირველობებზე დაწესებული ცენზი გადალახა, საზღვარგარეთ სასეირნოდ არავის წავიყვანთ...

— თქვენ როგორ მოემზადებით ოლიმპიადისთვის და რა მიზნები გაქვთ?

— მზადება უკვე დავიწყე. შემოდგომაზე ვვარჯიშობდი და ფორმაშიც ვარ. ახლა საჭიროა საერთაშორისო ტურნირები. სხვათა შორის, ახლახან თბილისის თასზე 395 ქულა მოვაგროვე, რაც მსოფლიოს რეკორდია. ოლიმპიადაზე უდიდესი კონკურენცია იქნება, მთავარმეტოქედ ჩინელ და რუს მსროლელებს ვთვლი, თუმცა არც სხვები არიან სუსტები. უდიდესი მნიშვნელობა ექნება გამოცდილებას და ფსიქოლოგიურ მზადყოფნას. განსაკუთრებულ ზეწოლას ფავორიტები განიცდიან, რაც მათზე უარყოფითად მოქმედებს. ისე, მიხარია, რომ ოლიმპიადა ჩინეთში ტარდება, უმაღლეს დონეზე იქნება ორგანიზებული. ძალიან მინდა, კარგად გამოვიდე და ამისთვის ძალას არ დავზოგავ. ყველაფერი, მაინც უფლის ნებაა, ვნახოთ...

**ლექსო მაისურაძე**





# ჩვენი ოქრო ჩვენთან

## ჩინელებმა საპეკინო მედლები გადათვალეს

**ჩინელი** სპორტული მიმომხილველები დარწმუნებულები არიან, რომ პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ჩინელი სპორტსმენები არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილს დაიკავებენ და მედლების რაოდენობით უკან ჩამოიტოვებენ ტრადიციულ ფავორიტებს — ამერიკელებსა და რუსებს.

სამშაბათს სააგენტო „სინხუამ“ გაავრცელა კომუნიკე, რომელშიც მოცემულია პროგნოზი იმის თაობაზე, თუ რომელ სახეობებში რამდენ მედალს მოიპოვებენ ჩინელი სპორტსმენები და როგორ გააუმჯობესებენ 2004 წელს ათენში ნაჩვენებ შედეგებს.

მაგალითად, ჩინელ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მათი მაგიდის ჩოგბურთელები ათენური სამი ოქროს ნაცვლად პეკინში ოთხ ოქროს მედალს მოიპოვებენ, ხოლო ბადმინტონისტები ათენურ სამ მედალს ერთ-ორს კიდევ დაამატებენ.

მომავალი ოლიმპიადის მასპინძლები დიდ იმედებს ამყარებენ წყალში მხტომელებზე. მელბურნის წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩინელმა წყალში მხტომელებმა 9 პირველი ადგილი დაიკავეს და პეკინში მათ აუცილებლად უნდა გააუმჯობესონ ათენური შედეგი — 6 ოქრო.

ტანვარჯიშში ჩინელები ათენური ერთის ნაცვლად, მინიმუმ ექვს ოქროს გეგმავენ, ხოლო ტყვიის სროლაში ხუთი ოქრო იგეგმება 2004 წლის ოთხის ნაცვლად.

მინიმუმ ათენური შედეგის გამეორებას, ანუ ექვსი პირველი ადგილის დაკავებას უსახავენ მიზნად ძალოსნებს და ამას გარდა, ჩინელები დიდ იმედებს ამყარებენ მძლეოსნებზე, ჩოჩოსნებზე, მოკრივეებზე, ძიუდოისტებსა და ტაეკვანდოს ოსტატებზე.

ბუნებრივია, ჩინელთა პროგნოზები იმასაც ემყარება, რომ ოლიმპიადა პეკინში ტარდება და მასპინძლებს ქომაგთა მხურვალე მხარდაჭერა გარანტირებული ექნებათ. მომავალი თამაშების ბილეთებზე ჩინეთში არნახული აჟიოტაჟია ატეხილი და ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი იძულებული გახდა, ბილეთებზე წინასწარი განცხადებების მიღება შეეზღუდა — როგორც გაირკვა, უკვე 340 ათასი განცხადებაა შესული 2 მილიონზე მეტი ბილეთის მოთხოვნით და ამიტომაც გადაწყდა, რომ მასპინძლებისთვის კუთვნილ დანარჩენ ბილეთებს ლატარიის წესით გაათამაშებენ.



# დევიდ კულჰარდი: დარჩი იმად, ვინც ხარ

**შოტლანდიელი მეფორმულე დევიდ კულჰარდი სადღეისოდ „სამეფო რბოლების“ ყველაზე ასაკოვანი მძღოლია.**

**36 წლის „დი-სი“ თავის მე-15 საპირველფორმულო სეზონისთვის ემზადება. დევიდი ყოველთვის იყო და ახლაც რჩება ავტორბოლების სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და იმავდროულად იმპოზანტურ პიროვნებად. ერთი სიტყვით, ახლაც ახალგაზრდებისა და ქალების კერპია. არის წარმატებული ბიზნესმენი, რომელიც ბრიტანეთსა და მონაკოში სასტუმროებს ფლობს და მრავალმილიონიანი ქონებაც დააგროვა**



— ვინ არის თქვენთვის ცხოვრებაში დასაყრდენი?

— ტრასაზე ჩემი გუნდი, ხოლო პირად ცხოვრებაში — ოჯახი და ჩემი საცოლე. ყველას თავისი წესები აქვს, რომლებიც ეხმარება, ცხოვრების ვექტორს მიჰყვეს და რთულ ვითარებაში საყრდენი იგრძნოს. მთავარი ისაა, რომ თუკი რამეს აკეთებ, შეეცადო, ეს კარგად გამოგივიდეს.

— ფორმულა 1-ის პილოტი წლიურად 17 გრან პრიში გამოდის და მუდმივად არაადამიანურ დატვირთვებს განიცდის, როცა სიჩქარე წამში ას მეტრზე მეტია. ამის დაძლევა მხოლოდ სუპერკაცების ხვედრია?

— არ ღირს ეს გაზვიადებად. როცა ტრასაზე 350 კმ/სთ სიჩქარით მიქრიხარ, ემოციურად იმას სავსებით არ განიცდი, რასაც მაყურებლები. ხოლო, როცა ავარიაში ხვდები, მაშინ გრძნობ, რამდენად საშიშია ეს სპორტი. და მაინც — რბოლები ჩემი ცხოვრებაა.

— პილოტთა შორის ცრურწმენაზე ლეგენდები დადის. თქვენ თილისმა ისევ თან დაგაქვთ?

— მე ცრუმორწმუნე ადამიანი არ ვარ, მაგრამ მგონი, ყველამ კარგად იცის, რომ ჩემს ბედნიერ ნიშნად, მრავალი წლის განმავლობაში, საცურაო საცვალი რჩება.

— რომელი რბოლა გამოდგა თქვენთვის საბედო?

— მოგებები კლასიკურ ეტაპებზე — მონაკოში და ჩემს სამშობლოში — დიდი ბრიტანეთის გრან პრიზე, ცხადია, ჩემთვის ყველაზე დიდი გამარჯვებებია.

— როგორც ნაღდი შოტლანდიელი მთიელი, თქვენ ფრიად დიდ პატივს სცემთ თქვენს ტრადიციებს?

— ვამაყობ იმით, რომ შოტლანდიელი ვარ. ჩემი ოჯახი დღემდე იქ ცხოვრობს და ყოველთვის მსიამოვნებს მშობლიური ადგილების მონახულება, თუმცა თვინჰოლმი საკმაოდ შორსაა, ასე რომ, იქ არცთუ ხშირად ჩავდივარ.

— შეძლებდით, თქვენი შვილი რბოლებისთვის გაგემეტებინათ?

— მე ვაჟიშვილი არ მყავს, ამდენად, არ ვიცი, რას ვიგრძნობდი და რას მოვიმოქმედებდი, შვილს რომ მრბოლობა მოენდომებინა.



# ტატამზე ტიტანებთან ლიპარტელიანს არავისი ეშინია

ვალერი ლიპარტელიანი 9 დეკემბერს საქართველოს ჩემპიონი გახდა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მაშინ 17 წლის ტალანტმა სულ ერთმანეთზე ულამაზესი ილეთებით დასცა ყველა გზადშემხვედრი მეტოქე და საქართველოში უპირველესის წოდებაც დაიმსახურა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ტურნირზე ამ წონის ბობოლებს, ირაკლი ცირეკიძეს და ზურაბ ზვიადაურს იანვარში გასამართ თბილისის მსოფლიო თასზე ჭიდაობა უკვე განაღდებული ჰქონდათ და ამიტომაც დაისვენეს. ვალერიმ კი ვერის ბაღში ტატამზე დაამტკიცა, რომ საქართველოს ნაკრების წევრობას იმსახურებს. სვანეთის შვილისთვის თბილისის ტურნირი პირველი საერთაშორისო შეჯიბრი იქნება დიდებში და შეიძლება ისე მოხდეს, რომ ტატამზე რომელიმე თანამემამულეს გადაეყაროს. ეს ყველაფერი ალბათ ასეც მოხდება და მაშინ ჯერ კიდევ უწვერულ ყმაწვილს მსოფლიო ჭიდაობის ტიტანების წინააღმდეგ მოუწევს ბრძოლა, რაც, დაგვეთანხმებით, ამ ამბავს განსაკუთრებულ ინტრიგას სძენს.

ახლა საქართველოს ნაკრები ბაკურიანშია შეკრებაზე. ვალერი ლიპარტელიანსაც იქ დავუკავშირდით და განვლილი სპორტული სეზონის შეჯამება ვთხოვეთ.

— როგორი იყო წლიური მონაგარი, კმაყოფილი ხარ თუ არა მიღწეულით?

— ჩემთვის ეს წელი საკმაოდ წარმატებული გამოდგა. მშვენიერი მომზადება გავიარე. რამდენჯერმე შეკრებაზეც ვიყავი და რაც მთავარია, ტრავმები არ მიმიღია. გამომდინარე აქედან, მთელი წლის განმავლობაში სტაბილურად ვჭიდაობდი — მოვიგე საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი, აგრეთვე 23-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატი. 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ვიზებთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ გავემგზავრე. სეზონი კი საქართველოს ჩემპიონობით დავასრულე. საერთ ჯამში, უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ.

— ახლა საქართველოს ჩემპიონატზეც მოგვიყევი...

— მართალი გითხრათ, ტურნირის მოგება არ გამჭირვებია. ერთადერთი, ვისთანაც დაძაბული გამომივიდა ორთაბრძოლა, ეს დავით ლორიაშვილი იყო. იუკოთი ვუგებდი და შემდეგ მან გამითანაბრა. საბოლოო ჯამში კი გავიმარჯვე, მაგრამ მაინც მძიმე შეხვედრა გამოვიდა. ფინალში კი კისრულით ნაკრების მეთოხე წევრი, ბესიკ ტყემალაძე დავამარცხე.

— რა მიგაჩნია შენს სუსტ და ძლიერ მხარეებად?

— ჩემი ასაკისთვის ფიზიკურად კარგად ვარ მომზადებული. ძალიან ელასტიკური ვარ და ტექნიკურადაც არ მიჭირს. ამ ეტაპზე სუსტ წერტილად ჩემი გამოუცდელობა მიმაჩნია, რასაც, რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში გამოვასწორებ.

— ზვიადაური და ცირეკიძეც თუ არიან შენთან ერთად შეკრებაზე და როგორც ოპონენტს, ხომ არ გერიდება მათი?

— ამჟამად ისინიც ბაკურიანში არიან და ერთად ვემზადებით. ამ შეკრებაზე აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზეა გადატანილი და ერთმანეთში ჭიდაობა ჯერჯერობით არ გვიწევს. ვფიქრობ, თბილისის ტურნირზე შევხვდები მათ და მაშინ მომეცემა შანსი, დავამტკიცო, რომ მე ტატამზე არავისი არ მეშინია. ჩემთვის დიდებში ეს პირველი საერთაშორისო შეჯიბრი იქნება. დასაკარგი არაფერი მაქვს და ამიტომ უფრო ლაღად ვიჭიდავებ.

— თბილისში სად ვარჯიშობ და ვინ არის შენი მწვრთნელი?

— სვანეთიდან ვარ, მაგრამ უკვე დიდი ხანია, თბილისში ვცხოვრობ. წლების განმავლობაში მარჯანიშვილზე, ძიუდოს დარბაზში დავდივარ და ჩემს მიღწევებში დიდი წვლილი გურამ მოდებაძეს მიუძღვის.

— ბაკურიანიდან როდის ჩამოდიხართ?

— 28 დეკემბერს ჩამოვალთ და თბილისში გავივლით ათდღიან შეკრებას, სადაც მეტი დრო ორთაბრძოლებს დაეთმობა. სავარაუდოდ, მაშინ მომიწევს ზვიადაურთან და ცირეკიძესთან ჭიდაობა და შემდეგ უკვე თბილისის ტურნირზე.

**ზურაბ მიგრიაული**



# ჰაბანა ხარებს არ უღალატებს

**სამხრეთაფრიკული** „ბლუ ბულზის“ ტრანსფერების ავანჩავანმა იან შვარცმა უარყო ცნობა იმის შესახებ, თითქოს „ბულზის“ სუპერვარსკვლავი, ირბ-ის ვერსიით, წლის საუკეთესო მორაგბე ბრაიან ჰაბანა ფრანგულ „ბაიონში“ გადადის. არადა, ეს ინფორმაცია რამდენიმე სახელიანმა გაზეთმა გაავრცელა, მათ შორის, „ეკიპმაც“

— ბრაიანი პლანეტის საუკეთესო მორაგბეა და მას გაუკვირდებოდა კიდეც, რომ რომელიმე გუნდს მისი შეძენა არ სდომებოდა, მაგრამ მე ერთი წუთითაც ვერ დამიშვია აზრი მისი გუნდიდან წასვლის შესახებ — განაცხადა იან შვარცმა.

აქვე „ეკიპი“ წერს, რომ „ბაიონს“ არ ექნება საშუალება, ჰაბანას ის კოლოსალური ხელფასი გადაუხადოს, რასაც მას „ბულზში“ უხდიან. ბრაიანი წელიწადში 350 000 ევროს გამოიმუშავებს.

**ზურაბ მიგრიაული**







# ჩვენთან ნასწავლი ჩვენთანვე დარჩებაო

**მოგეხსენებათ,** ავსტრალიის რაგბის კავშირმა ნაკრების ახალი მწვრთნელი რობი დინსი ზარზეიმით წარუდგინა ადგილობრივ გულშემატკივრებსა და სპეციალისტებს. ახლა კი აღმოჩნდა, რომ ახალზელანდიელ სპეციალისტს თურმე 4-წლიან კონტრაქტზე ჯერ ხელი არ მოუწერია, ვინაიდან ამ იურიდიული აქტის პირობები და პუნქტები ბოლომდე ჩამოყალიბებულ-დაწერილი არ არის.

დინსის დასტური მხოლოდ წინასწარ წერილობით შეთანხმებაზეა ალბეჭდილი და ყველაფერი ნორმაში ახალი წლის შემდეგ ჩადგება, როცა კონტრაქტი საბოლოო სახეს მიიღებს. ამ დოკუმენტში კი შეიძლება, ისეთი პუნქტები შევიდეს, როგორებიცაა, მაგალითად, მოთხოვნა იმის შესახებ, რომ დინსს არ შეეძლება იმ ცოდნის სხვა სამსახურებსა თუ სამწვრთნელო პოსტებზე გამოყენება, რომელიც მან ავსტრალიის ნაკრების თავკაცობისას შეიძინა.

**ზურაბ მიგრიაული**

# ავსტრალიური ძმაკაცობა ჟიტუმ ჰენჯაკი მოითხოვა

**მეტ ჟიტუ** და მეტ ჰენჯაკი — ეს ის წყვილია, რომელიც, სავარაუდოდ, ავსტრალიის ნაკრებიდან წასულ ლეგენდარულ სტივენ ლარქემისა და ჯორჯ გრეგანის ტანდემს ჩაანაცვლებს.

ჰენჯაკს გრეგანის „ვოლაბებში“ ყოფნის დროს სათამაშო პრაქტიკა თითქმის არ ჰქონია, განსხვავებით ჟიტუსგან, რომელმაც უკვე 51 ტესტი ჩაატარა და ნაკრებისთვის საკვანძო და ავტორიტეტულ ფიგურად ითვლება.

ჟიტუ ავსტრალიელთაგან ყველაზე მაღალანაზღაურებადი მობურთალიცაა. რობი დინსის მთავარ მწვრთნელად მოსვლის შემდეგ კი ძირითადში ადგილი გარანტირებული უნდა ჰქონდეს. მან უკვე მოითხოვა „ვოლაბების“ 10-ნომრიანი მაისურა. შესაძლო 9 ნომერზეც „დეილი ტელეგრაფმა“ პირველ რიგში მეტ ჟიტუს ჰკითხა.

— ლარქემი-გრეგანის წასვლის შემდეგ მთელი ტვირთი ახალგაზრდებს დაგვაწვა. მოგეხსენებათ, რა საპასუხისმგებლო პოზიციაზეც გვიწევს თამაში და უფრო კომფორტულად ვიგრძნობ თავს, თუ მხარში მეტ ჰენჯაკი ამომიდგება. ის ნამდვილად კარგი მორაგბეა და ამასთან ერთად ჩინებული მეგობარიც.

**ზურაბ მიგრიაული**

# ძველი, ლიპიანი კაუკაუ

**გახსოვთ,** 2003 წლის მსოფლიოს თასზე ფიჯელი რუპენი კაუკაუ, რომელმაც ჩემპიონატზე რამდენიმე სარაგბო შედევრი შექმნა? ჰოდა, ვინც მაშინ მისი თამაშით მოიხიბლა, მაგრამ შემდეგ მიავიწყდა ეს მორაგბე, შევახსენებთ, რომ რუპენი ორიოდე წლის წინ მარიხუანას მოხმარებაში ამხილეს, ოდნავ ლიპიან ფიჯელს ორი წლით დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და ამის გამო საფრანგეთის მსოფლიოს თასი გამოტოვა.

რუპენი კაუკაუნიბუკამ (სრული სახელია) გასულ უქმეებზე „აჟენის“ ძირითადში ითამაშა გია ლაბაძის „ტულონის“ წინააღმდეგ და ღირსეული დაბრუნებაც მოიწყო. ლეგენდარულ ტანა უმაგას მიერ დამოძლვრილ გუნდს, სადაც არანაკლებ ლეგენდარული მორაგბეები თამაშობენ (ჯორჯ გრეგანი, ენდრიუ მერთენსი, ვიქტორ მეტფილდი, ენტონ ოლივერი) სამი ლელო გაუტანა და „ტულონის“ განადგურებაში ლომის წილი დაიდო. „აჟენმა“ ფრანგული ელიტ-2-ის ერთ-ერთი ლიდერი დამაჯერებლად დაამარცხა 33:0.

**ზურაბ მიგრიაული**



# მარკესმა პაკიაო გაშიფრა



**ხუან მანუელ მარკესმა** მენი პაკიაოსთან დაგეგმილი მატჩ-რევანშისთვის მზადება დაიწყო. მექსიკელი უკვე აქტიურად ვარჯიშობს მშობლიური მეხიკოს ერთ-ერთ დარბაზში.

მარკესი მომავალ ბრძოლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც მისი ბრტყელ-ბრტყელი კომენტარებიდანაც კარგად ჩანს.

„ათბალიანი შკალით რომ მთხოვონ ამ ბრძოლის მნიშვნელობა შევაფასო, ათს პლიუსით დავუწერდი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ბრძოლაა ჩემთვის, ჩემი ოჯახისთვის, მთელი მექსიკისთვისა და მსოფლიოში გაფანტული ჩემი გულშემატკივრებისთვის“.

მარკესს ახალი ტაქტიკაც შეუმუშავებია. მექსიკელი, რომელიც 2004-ში პაკიაოსთან პირველი ბრძოლის დროს სამჯერ იყო ნოკდაუნში, აღიარებს მეტოქის სიძლიერეს, მაგრამ ფილიპინელის ტექნიკაში მაინც ხედავს სისუსტეებს და მათ გამოყენებას გეგმავს.

„მაქსიმალურად აგრესიული ვიქნები და მის ყველა შეტევას კონტრშეტევებით ვუპასუხებ. თუმც მთავარი, რაც მენის დამარცხებაში დამეხმარება, რინგზე სწრაფად ფიქრის უნარია. ის ფიზიკურად ძალიან ძლიერია, მაგრამ ტექნიკურად მოიკოჭლებს. მას არ უყვარს, როცა ზეწოლის ქვეშ არის და უკან დახევისას თავს კარგად ვერ იცავს. მას „მექსიკელების მკვლელი“ შეარქვეს, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ეს არ მოხდება. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ყველას დავანახვებ, რომელია უძლიერესი ჩვენ ორს შორის. მე მოვიგებ ამ ბრძოლას. ამის შემდეგ მას რევანშის შანსსაც აუცილებლად მივცემ, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებ საპრიზოს დათანხმდება“.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ბრძოლა 15 მარტს ლას ვეგასში გაიმართება.

**კახა ლომჯაშვილი**



# სენატორთა მარცხიანი სერია

ნჰლ-ში ორდღიანი საშობაო არდადეგები იყო — ჩრდილო ამერიკის ყინულის მოედნები მცირე ხნით დაცარიელდა და ჰოკეისტებიც დროს გასახდელსა და სპორტულ დარბაზებში კი არა, ოჯახებში ატარებდნენ.

ჩვენ კი ამით ვისარგებლოთ და ლიგას თვალი გადავავლოთ — მით უმეტეს, რომ რეგულარულმა ჩემპიონატმა თითქმის ეკვატორს უწია. ერთი-ორი სიტყვით ავღნიშნოთ კონფერენციებში არსებული მდგომარეობა და ყურადღება ლიდერებსა თუ აუტსაიდერებზე გავამახვილოთ.

როგორც ყოველთვის, ახლაც ჩემპიონატის საუკეთესო გუნდებით დავიწყებთ. თუმც გუნდებით კი არა, გუნდით — აქამდე „დეტროიტსა“ და „ოტავას“ ერთად მოვიხსენიებდით, რადგან ორივენი სხვებზე ერთი თავით მაღლა იდგნენ, თუმც დეკემბრის დასაწყისში კანადურ გუნდს მცირე ჩავარდნა ჰქონდა — „სენატორებმა“ ზედიზედ ექვსი შეხვედრა დათმეს და ყველას დაანახვეს, რომ მათთან ტოლ-სწორად თამაში შესაძლებელია. სამაგიეროდ, ტემპის დაგდებაზე არ ფიქრობს „დეტროიტი“, რომელსაც ვერც გუნდის ლიდერთა ტრავმები აჩერებს. „წითელფრთიანებს“ რიგრიგობით დაემტვრათ კრის დრეიპერი, ტომას ჰოლმსტრომი და ჰენრიკ ზეტერბერგი, მაგრამ გუნდმა უკანასკნელი 13 შეხვედრიდან 11 მოიგო და მხოლოდ ერთი წააგო ძირითად დროში. ასე რომ, მიჩიგანელები ლიგის უძლიერეს გუნდად მიიჩნევიან.

ახლა კი კონფერენციებში არსებულ მდგომარეობაზე მოგახსენებთ.

არაფერი იცვლება აღმოსავლეთში, სადაც გუნდები ცხრილში ძალიან მჭიდროდ არიან განლაგებულნი. „ოტავა“ ისევ დამაჯერებლად ლიდერობს და მცირე ფორა შექმნა „ნიუ ჯერსიმაც“. დანარჩენებს კი ერთმანეთისგან ბევრი არაფერი აშორებთ — ასე განსაჯეთ, მესამე ადგილოსან „ბოსტონსა“ და მეცამეტე „ფილადელფიას“ შორის სხვაობა მხოლოდ ოთხი ქულაა. საპლეიოფო ზონისგან შორს არ არიან არც მეთოთხმეტეზე მყოფი „ტამპა“ და არც კონფერენციის ბოლო გუნდი „ვაშინგტონი“, რომელმაც ახალ მწვრთნელ ბრიუს ბუდროს ხელში აშკარად მოუმატა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ „პიტსბურგისა“ და „ბუფალოს“ პროგრესიც. მართალია, „პინგვინების“ ახალგაზრდა ლიდერი სიდნი კროსბი თავის საკადრის დონეზე ვერ თამაშობს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჭაპანს სხვები მიათრევენ დებიუტანტ უკანახაზელ კრისტოფერ ლეტანგის მეთაურობით.

ოდნავ სხვანაირი მდგომარეობაა დასავლეთში, სადაც აშკარა აუტსაიდერი გამოიკვეთა „ლოს ანჯელესის“ სახით. ცუდად არის „ედმონტონის“ საქმეებიც. უკან არიან „ფინიქსი“, „ნეშვილი“, „კოლუმბუსი“ და „ჩიკაგოც“, მაგრამ მერვეზე მყოფ „ანაჰაიმთან“ შედარებით, მათ ნაკლები მატჩები აქვთ ჩატარებული და მათი მოგების შემთხვევაში კალიფორნიელებს უკან ჩამოიტოვებენ. თუმც ამ მატჩებსაც მოგება სჭირდება, რაც იოლი საქმე სულაც არ არის, რადგანაც დღევანდელ ნჰლ-ში ყველა ქულისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობს.

„ანაჰაიმი“ საერთოდ ცალკე სასაუბრო თემაა — კაპიტან სკოტ ნიდერმაიერის [illegible] გუნდს გამოცოცხლება [illegible] ტრავმების შემდეგ „იხვებს“ მეტ შნაიდერი და ტოდ ბერტუცი დაუბრუნდნენ და, როგორც იქნა, გუნდმა იმ თამაშის ჩვენება, დაიწყო რამაც წლეულს სტენლის თასი მოაგებინა.

**კახა ლომჯაშვილი**



დენი ჰიტლი ლიგის ყველაზე ნაყოფიერი მოთამაშეა

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 36 | 20 | 13 | 3 | 88:85 | 43 |
| პიტსბურგი | 36 | 18 | 16 | 2 | 103:108 | 38 |
| რეინჯერსი | 36 | 17 | 15 | 4 | 83:88 | 38 |
| აილენდერსი | 34 | 17 | 15 | 2 | 79:93 | 36 |
| ფილადელფია | 34 | 16 | 14 | 4 | 106:102 | 36 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 35 | 23 | 8 | 4 | 120:91 | 50 |
| ბოსტონი | 36 | 18 | 14 | 4 | 94:94 | 40 |
| მონრეალი | 36 | 17 | 13 | 6 | 103:102 | 40 |
| ბუფალო | 34 | 19 | 14 | 1 | 110:96 | 39 |
| ტორონტო | 36 | 15 | 14 | 7 | 107:110 | 37 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 37 | 19 | 15 | 3 | 118:117 | 41 |
| ატლანტა | 36 | 18 | 17 | 1 | 101:120 | 37 |
| ფლორიდა | 36 | 17 | 16 | 3 | 92:97 | 37 |
| ტამპა | 36 | 15 | 18 | 3 | 106:118 | 33 |
| ვაშინგტონი | 36 | 13 | 19 | 4 | 92:110 | 30 |

NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL

**დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 36 | 26 | 7 | 3 | 128:82 | 55 |
| სენტ ლუისი | 33 | 18 | 12 | 3 | 88:85 | 39 |
| ჩიკაგო | 35 | 18 | 15 | 2 | 105:99 | 38 |
| კოლუმბუსი | 35 | 15 | 14 | 6 | 85:87 | 36 |
| ნეშვილი | 34 | 16 | 16 | 2 | 94:101 | 34 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კოლორადო | 36 | 21 | 13 | 2 | 109:101 | 44 |
| ვანკუვერი | 37 | 20 | 13 | 4 | 97:87 | 44 |
| მინესოტა | 35 | 20 | 13 | 2 | 90:90 | 42 |
| კალგარი | 37 | 17 | 13 | 7 | 106:108 | 41 |
| ედმონტონი | 37 | 16 | 18 | 3 | 96:111 | 35 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| დალასი | 37 | 21 | 12 | 4 | 109:92 | 46 |
| სან ხოსე | 35 | 18 | 12 | 5 | 88:83 | 41 |
| ანაჰაიმი | 38 | 18 | 15 | 5 | 95:104 | 41 |
| ფინიქსი | 34 | 17 | 16 | 1 | 86:91 | 35 |
| ლოს ანჯელესი | 37 | 12 | 23 | 2 | 99:125 | 26 |

ბომბარდირები: ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 53(23+30); ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 50(25+25); ჯერომ იგინლა (კალგარი) 49(24+25); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 48(16+32); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 47(29+18); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 46(20+26); დენი ჰიტლი (ატლანტა) 45(22+23); ჯეისონ სპეცა (ატლანტა) 44(12+32); პოლ შტასტნი (კოლორადო) 43(15+28); პაველ დაციუკი (დეტროიტი) 43(14+29); მაიკ რიჩარდსი (ფილადელფია) 42(18+24); მატს სუნდინი (ტორონტო) 42(16+26); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 41(13+28); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 41(25+16); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 40(14+26); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 40(13+27)

გოლეადორები: კოვალჩუკი 29; ზეტერბერგი, ოვეჩკინი 25-25; იგინლა 24; ლეკავალიე 23; ჰიტლი 22; ბრედ ბოიესი (სენტ ლუისი) 21; ალფრედსონი 20; ოლი იოკინენი (ფლორიდა), კორი პერი (ანაჰაიმი), მაიკ რიბეირო (დალასი) 19-19

ასისტენტები: სპეცა, კროსბი 32-32; მარკ სავარი (ბოსტონი) 31; ლეკავალიე 30; ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი), სერგეი ზუბოვი (დალასი), დაციუკი, ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 29-29; მეტ კალენი (კაროლინა), სენ ლუი, შტასტნი 28-28; ტორნტონი 27; ალფრედსონი, მალკინი, სუნდინი 26-26

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ჰიტლი 32; ლიდსტრომი, ჯო კორვო (ოტავა) 22-22; სპეცა 21; დაციუკი, ვეიდ რედენი (ოტავა) 17-17; ალექსანდრ ედლერი (ვანკუვერი) 15; ზეტერბერგი, დუგლას მიური (სან ხოსე), პატრიკ შერპი (ჩიკაგო), ალფრედსონი 14-14

ბომბარდირი მცველები: ზუბოვი 33(4+29); ლიდსტრომი 32(3+29); სერგეი გონჩარი (პიტსბურგი) 29(6+23); კრის პრონგერი (ანაჰაიმი) 29(7+22); ბრაიან რაფალსკი (დეტროიტი) 29(4+25); დიონ ფანაფი (კალგარი) 26(6+20); ტომაშ კაბერლე (ტორონტო) 25(6+19)

მეკარეები

გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი: კრის ოსგუდი (დეტროიტი) 1,83; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 2,03; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,05; პასკალ ლეკლერი (კოლუმბუსი) 2,07; ფრედრიკ ნორენა (კოლუმბუსი) 2,20; ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი) 2,21; მენი ლეგასი (სენტ ლუისი) 2,22; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,23; ილია ბრიზგალოვი (ფინიქსი) 2,24

დარტყმათა მოგერიების პროცენტი: ტიმ ტომასი (ბოსტონი) 93,2; ლუონგო 92,9; მარტინ გერბერი (ოტავა) 92,7; კრისტობალ იუე (მონრეალი) 92,7; ოსგუდი 92,6; ლეკლერი 92,5; ბრიზგალოვი 92,4; ტომაშ ვოკოუნი (ფლორიდა) 92,2

მოგებული მატჩები: ნაბოკოვი, ბროდო 18-18; ვოკოუნი, გერბერი, მიკა კიპრუსოფი (კალგარი), რაიან მილერი (ბუფალო) 17-17; რიკ დიპიეტრო (აილენდერსი), ლუნდკვისტი, ლუონგო 16-16; ოსგუდი, კემ უორდი (კაროლინა) 15-15

შატაუტები: ლეკლერი, ლუნდკვისტი 6-6; ლუონგო 5; ნაბოკოვი 4; ვოკოუნი, ბროდო 3-3; მეტიუ გარონი (ედმონტონი), დენ ელისი (ნეშვილი), ალექს ოლდი (ბოსტონი), ნიკლას ბექსტრომი (მინესოტა), ვესა ტოსკალა (ტორონტო), მარტინ ბირონი (ფილადელფია), მარკ-ანდრე ფლერი (პიტსბურგი), დიპიეტრო, უორდი 2-2



# ძველი ფავორიტები




როჯერ ფედერერი

**მორიგი** საჩოგბურთო სეზონის დაწყებამდე ხუთიოდე დღე დარჩა, 2008 წლის პირველ დიდ მოვლენამდე, ავსტრალიის ღია პირველობამდე კი — სამ კვირაზე ნაკლები. ამიტომ ყველა, ვისაც არ ეზარება, თავის აზრს გამოთქვამს, თუ ვინ იქნება ფავორიტი მწვანე კონტინენტზე.

თავიანთი შეხედულება ბუკმეკერებმაც გამოთქვეს და ჩოგბურთელების მელბურნში გამარჯვების შანსებზე კოეფიციენტებიც გამოაქვეყნეს. ჩვენ ყველაზე ცნობილ საბუკმეკერო კანტორა „უილიამ ჰილის“ შეფასებებს გაგაცნობთ.

კაცთა შორის, როგორც ყველა, ბუკმეკერებიც უეჭველ ფავორიტს ავსტრალიის სამგზის ჩემპიონ როჯერ ფედერერში ხედავენ. დიადი ალპელის კოეფიციენტი იმაზე, რომ ის მელბურნ-პარკის კორტებზე ისევ იხეირებს, 1,57-ია.

ფედერერის შემდეგ მოგების საუკეთესო შანსი, ბუკმეკერების აზრით, ნოვაკ ჯოკოვიჩს აქვს, რომლის კოეფიციენტიც 7-ია. ახალგაზრდა სერბს ესპანელები მოსდევენ — რაფაელ ნადალი კოეფიციენტით 9 და დავიდ ფერერი (21). მაღალ შეფასებას აძლევენ შარშანდელ ფინალისტ მარკოს ბაღდატისის შანსებსაც (41).

ბუკმეკერები არ იზიარებენ იმ სპეციალისტთა შეხედულებებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ შეიძლება, სიურპრიზებს ველოდოთ 2005 წლის ჩემპიონ მარატ საფინისგან. „უილიამ ჰილმა“ გოლიათ რუსს პრეტენდენტთა სიაში მხოლოდ მე-17 ადგილი არგუნა (კოეფიციენტი 101). რუსთა შორის გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი ნიკოლაი დავიდენკოს ჰქონია (51).

აშკარა ფავორიტი ქალთა ბადეშიც არის — ჟუსტინ ენინის ავსტრალიაში ტრიუმფზე კოეფიციენტი 2,37-ია. ეტყობა, ბუკმეკერებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მარია შარაპოვას ქალთა შემაჯამებელ ტურნირზე ნაჩვენებმა თამაშმა, რის გამოც რუსი პრიმა სიაში მეორეა 6,50-იანი კოეფიციენტით. მესამეზე მოქმედი ჩემპიონი სერენა უილიამსია.

როგორც ხშირად ხდება ბოლო წლებში, ქალთა სიაში ბლომად არიან რუსები — პირველ ოცეულში ასევე მოხვდნენ სვეტლანა კუზნეცოვა (21), ანა ჩაკვეტაძე (26), ნადია პეტროვა (51) და ელენა დემენტიევა (67).

**კახა ლომჯაშვილი**



AFP

## სტრიკერი მინდორზე

სამხრეთში ზაფხული დგას და კრიკეტიც გახურებულია. მელბურნში ოზები ტესტში მასპინძლობენ ინდოელებს. შეჯიბრის პირველივე დღეს მინდორზე მთვრალი სტრიკერი გადმომხტარა. ეს საკვირველია, რადგან კრიკეტს მშვიდი მაყურებელი ჰყავს.

## ელენ პარკის ერთდღიანი

კრიკეტის სეზონი გახურებულია და ოკლენდის „მედენ პარკში" ახალ ზელანდიელებს ბანგლადეშელებისთვის უმასპინძლიათ ერთდღიან კრიკეტში, რომელიც ექვსი ვიკეტით მოუგიათ. სურათზე კი ახალზელანდიელი ჯემი ჰოუ მოხდენილ შოთს ახერხებს.



AFP

## წაგება

ამ უვარგისმა დაშვებამ უმედლოდ დატოვა ავსტრიელი ანდრეას კოფლერი. შვეიცარიულ ენგელბერგში მიმდინარე ტრამპლინის მსოფლიო თასზე პირველობა შვეიცარიელსავე ანდრეას კუტელს დარჩა.



AFP



AFP

## ჰობარტისკენ

სიდნეის ნავსადგურიდან იწყება წლევანდელი სიდნეი — ჰორბარტის რეისი. ფავორიტად ავსტრალიური „ვაილდ ოუტსის" ნავია, ოღონდ კი ამბობენ, რომ სუსტ ქართა გამო იმავ ეკიპაჟის რეკორდს, 18 საათს, 40 წუთსა და 10 წამს წლეულს ვერავინ მოხსნის.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბახუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გიორგი ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ მიგრიაული, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიციაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარიშვილი, ლიანა ბეხელაია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge